საკმო ბაჯი

№15 (696)
ოთხშაბათი
10 მაისი,
2023წ.
ფასი 1.50 ლ.

ჩვენს გმირ ვეტერანებს გილოცავთ ამ დიდი ბოროტების – ფაშიზმის დამარცხების და ჩვენი გამარჯვების 78-ე წლიწადს!

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა „ვეტერანთა კულტურისა და დასვენების პარკში“ მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგო.

„მინდა, პირველ რიგში, ჩვენს გმირ ვეტერანებს მივულოცო დღევანდელი დღე - ამ დიდი ბოროტების, ფაშიზმის დამარცხების და ჩვენი გამარჯვების დღე. მინდა, აღვნიშნო, რომ ჩვენი ქვეყნის და ჩვენი ქართველების, ჩვენი ხალხის როლი ამ დიდი სამამულო ომის გამარჯვებაში არის უდავოდ შეუფასებელი და თქვენ აღნიშნეთ, რომ შვიდასი ათასი ქართველი მონაწილეობდა ამ ომში. აქედან ნახევარზე მეტი გმირულად შეეწირა ამ იდეას, რასაც ერქვა ბოროტების დამარცხება და ფაშიზმზე გამარჯვება. ამიტომ, კიდევ ერთხელ ქედს ვიხრი გმირი ქართველების ხსოვნის წინაშე, ჩვენს გმირ ვეტერანებს მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენი მთავრობის სახელით ყველაფრისთვის“, - განაცხადა პრემიერმა.

ირაკლი ღარიბაშვილმა მელიტონ ქანთარიას ბიუსტი ყვავილებით შეამკო. პრემიერ-მინისტრი პარკში შეკრებილ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს გაესაუბრა, მათ მადლობა გადაუხადა და ფაშიზმზე გამარჯვების 78-ე წლისთავი მიულოცა.

პრემიერთან ერთად „ვეტერანთა კულტურისა და დასვენების პარკში“ თბილისის მერი კახა კალაძე, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

ახალი მსოფლიო წესრიგი ახალი საქართველოსთვის

ავთანდილ არაბული: მთავარი მიზანი „ეროვნული სკოლის“ აღდგენაა

იგორ კვესელავა: რუსეთმა უკრაინას ომის დაწყება დაასწრო

ლევან მამალაძე: გეოპოლიტიკურმა ვითარებამ საქართველოს როლი ევროპისთვის მნიშვნელოვნად გაზარდა

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა „აფრიკის დიდი ვარსკვლავის“ დაბრუნებას ითხოვს

ირაკლი ღარიბაშვილი: ეს ნეოფაშისტები და ულტრარადიკალები რომ ყოფილიყვნენ ხელისუფლებაში, დღეს აქ მშვიდად ვერ გამოვიდოდით...

როგორც მთავრობის მეთაურმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, რომ ხელმოცარული, გაკოტრებული, ანტიეროვნული ძალები ჩვენს ქვეყანაში ვერაფერს ვერ მოაწყობენ, ხალხი ბრძენია და ძალიან კარგად ხედავს, რაც ხდება.

„ზურა ჯაფარიძე რომ ავიღოთ, ეს ადამიანი არის 1 %-იანი პარტიის ლიდერი. რამდენად დიდ უტოპიაშია ეს ადამიანი და როგორ წამლავს საზოგადოებას, ეგ ცალკე საკითხია, თავის ახალგაზრდებს და მის მიერ შემოკრებილ, მისი იდეების, აზრების გამზიარებლებს. რა თქმა უნდა, შეიძლება მის ამ განცხადებებს ვუწოდო სისულელე და უბრალოდ არასერიოზული, ვინაიდან ეს ხელმოცარული, გაკოტრებული, ანტიეროვნული ძალები, ჩვენს ქვეყანაში ვერაფერს ვერ მოაწყობენ. ჩვენი ხალხი ბრძენია, ძალიან კარგად ხედავს რაც ხდება და ჩვენ მთავარი შევინარჩუნეთ, ჩვენ შევინარჩუნეთ მშვიდობა და არა მხოლოდ შევინარჩუნეთ, ჩვენ ქვეყანა გადავარჩინეთ. აი, ეს ნეოფაშისტები და ასეთი ულტრარადიკალები რომ ყოფილიყვნენ ხელისუფლებაში, დღეს აქ მშვიდად ვერ გამოვიდოდით. ქვეყანა აღარ გვექნებოდა, მეგობრები. ქვეყანას ესენი მეორე პოლიგონად გადააქცევდნენ. ეს იყო მიზანი. ახლა ბატონი მეკითხებოდა, რომ არახამიას უნდოდაო, მარტო არახამიას კი არა, უკრაინის ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი საჯაროდ გამოვიდა, თქვენ გახსოვთ, თქვა, რომ ჩვენ, ანუ მათ უნდოდათ მეორე ფრონტის გახსნა საქართველოში.

თქვენ ქართველები ხომ ხართ?! ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები ხომ ხართ?! ამაზე რატომ არ შეგტკივათ გული?! ვიღაცას, უცხო ქვეყნის მოქალაქეს, თქვენს ქვეყანაში უნდოდა მეორე ფრონტის გახსნა, ანუ ჩვენი ქვეყნის პოლიგონად გადაქცევა, რაც ხდება უკრაინაში, კი ხედავთ და თქვენ ამაზე პროტესტიც კი არ გაქვთ, რეაქცია არ გაქვთ, პოზიციას არ გამოხატავთ და იმეორებთ ერთსა და იმავეს“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ირაკლი ღარიბაშვილი: კეზერაშვილმა დაადასტურა, რომ ოლიგარქია და მთელ ოპოზიციას და მათ ტელევიზიებს ნაძარცვი ფულით აფინანსებს

„ბი-ბი-სის“ გამოძიების შედეგების გასაჯაროებამდე რამდენიმე კვირით ადრე კეზერაშვილმა დაადასტურა, რომ ოლიგარქია და მთელ ოპოზიციას და მათ ტელევიზიებს ნაძარცვი ფულით აფინანსებს, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, საქართველო აქტიურად თანამშრომლობს ევროპულ საგამოძიებო სამსახურებთან და, საბოლოო ჯამში, ნათელი მოეფინება ყველაფერს.

„ჩვენ ვხედავთ უსუსურ მცდელობას ისედაც გაკოტრებული, ხელმოცარული ოპოზიციის მხრიდან, რომ რაიმენაირად ეს დიდი სკანდალი, მსოფლიო დონის, მე ასე ვიტყოდი, საერთაშორისო მასშტაბის თაღლითობის სქემა, რომელიც იქნა გაშიფრული და გამოძიებული „ბი-ბი-სის“ მიერ. მე ვგულისხმობ კეზერაშვილის მიერ ჩადენილ საერთაშორისო დანაშაულს, ე.წ. “ქოლცენტრების” სქემის აწყობას, რომლითაც მილიარდი დოლარი მოიპარეს. ჩვენც ამას ვამბობდით. ნახეთ, რომ კეზერაშვილმა და მისმა თაღლითებისგან შემდგარმა ბანდამ გაძარცვა მთელი ევროპის პენსიონერები. ერთი მილიარდი დოლარია მოპარული. აი, ამხელა სკანდალის გადაფარვას ცდილობენ ეს არასერიოზული ადამიანები. რა



თქმა უნდა, ეს საინტერესო არ არის. საინტერესოა ის, რომ ჩვენი მეგობარი სახელმწიფოების, ევროპის ქვეყნების პენსიონერებისგან, ამ კაცმა და მისმა კომპანიებმა მოიპარეს 1 მილიარდი დოლარი. სამწუხაროდ, კეზერაშვილი თქვენს ტელევიზიასაც ნაძარცვი ფულით აფინანსებს და მთელ ოპოზიციურ მოძრაობასაც. თქვენ ცილს სწამებთ ადამიანებს. მე ვარ პრემიერ-მინისტრი და თქვენზე მეტი ინფორმაცია მაქვს. მთავარი თემა არის შემდეგი: რომ საზოგადოებამ ვერ მოისმინა პასუხი, ახსნა-განმარტება, რომ აი, ასეთი საუკუნის ძარცვა, იქნა ჩადენილი კეზერაშვილის მიერ და ეს კაცი ჯერ კიდევ გამოთქვამს პრეტენზიას და მის მიერ დაფინანსებული ოპოზიციური პარტიები გამოთქვამენ პრეტენზიებს, რომ ხელისუფლებაში მოვიდნენ. ეს არის შემაშფოთებელი. თქვენ ამაზე უნდა დასვათ კითხვები და ჩვენმა ხალხმა უნდა მიიღოს პასუხები. მე მჯერა, რომ ევროპული საგამოძიებო სამსახურები ამ საქმეს მიიყვანენ ბოლომდე. თქვენ იცით, რომ გერმანულ გამოძიებასთან ჩვენ აქტიურად ვითანამშრომლეთ ბოლო 2 წლის განმავლობაში, ჩვენ ძალიან ბევრი ფაქტი გამოვიძიეთ ერთად, გავხსენით და, საბოლოო ჯამში, ნათელი მოეფინა ამ რეალობას“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

* * *

„ჩვენმა უწყებებმა დაიწყეს გამოძიება და ამის შემდეგ მოხდა ჩვენი ევროპელი კოლეგებისა და სახელმწიფოების ჩართულობა“, - ამის შესახებ თბილისის მერმა, კახა კალაძემ ე.წ. ქოლ-ცენტრების საქმის კომენტირებისას ისაუბრა.

მისი თქმით, აღნიშნული საქმის გამოაშკარავება და მასზე მოკვლევის წარმოება ქართული საგამოძიებო უწყებების დამსახურებაა.

„პირველ რიგში, ეს არის საქართველოს შესაბამისი უწყებების დამსახურება. სუს-ის, პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს უშუალო ჩართულობით მოხდა ამ ფაქტების გამოვლენა. სანამ ტელეკომპანია „ბი-ბი-სი“ ჟურნალისტურ გამოძიებას არ ჩაატარებდა, არ გქონდათ ინფორმაცია და არაფერი გსმენიათ ამ თემაზე? ყველამ იცოდა, რომ პრობლემა იყო ეს „ქოლ-ცენტრები“ და ვინ იდგა ამის უკან.

ჩვენმა უწყებებმა დაიწყეს გამოძიება, კონკრეტული საქმის მასალების მოკვლევა. შემდეგ კი ჩვენი ევროპელი კოლეგებისა და სახელმწიფოების ჩართულობა იყო. გამოძიება მიმდინარეობს და დაველოდოთ შესაბამის გადაწყვეტილებებს“, - განაცხადა კახა კალაძემ.

ჟვანიას მოედნის რეკონსტრუქცია დასრულდა

განახლებული მოედანი დღეს დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ დაათვალიერა.

„ჟვანიას მოედანზე სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულებულია. იდენტიფიცირებულია 12 კვანძი, რომელიც გადაადგილებისა და გამტარუნარიანობის თვალსაზრისით, ასევე, საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის გარკვეულ პრობლემას წარმოადგენდა. დავიწყეთ არსებული კვანძების მოწესრიგება. ჟვანიას მოედანზე გაჩნდა საავტობუსო ზოლი იმისთვის, რომ საზოგადოებრივმა ტრანსპორტმა შეუფერხებლად შეძლოს გადაადგილება. აღნიშნულ ტერიტორიაზე საათში, დაახლოებით, ავტობუსების ჩათვლით, 1 400 ავტომობილი გადაადგილდებოდა. ეს რაოდენობა შენარჩუნებულია, უბრალოდ დამატებულია საავტობუსო ზოლი. დღეს გამტარუნარიანობა მეტია იმის გათვალისწინებით, რომ საავტობუსო ზოლი ცალკეა გამოყოფილი. გარდა ამისა, მოედანზე გამწვანდა თარგები, დამონტაჟდა განათების სისტემა, ელექტროგადამცემი ხაზები მიწის ქვეშ განთავსდა და საკმაოდ სასიამოვნო სივრცე გამოვიდა“, - განაცხადა კახა კალაძემ.

მოედანზე ამჟამად გამავალი 11 სამარშრუტო ხაზი დღიურად 55 ათასზე მეტ მგზავრობას უზრუნველყოფს.

თავისუფლებას „ცრუ თავისუფლების“ სახელით ებრძვიან

ევროპაში, „ქართული ოცნების“ პარტნიორ პარტიაში, საქართველოს მმართველი ძალისთვის სტატუსის შეწყვეტაზე იმსჯელებენო, — სიხარულის გადაძახილი ატყდა ქვეყნის მავნებელ საქართველოს მოქალაქე მავნებლებში...

თურმე, ევროპელი სოციალისტების პარტია მიმდინარე წელს უნგრეთში გამართულ კონსერვატორთა კონფერენციაში ღარიბაშვილის მონაწილეობას გმობს.

„პრემიერ ღარიბაშვილის ქმედება მიუღებელია და აქცევს მას ჩვენი პოლიტიკური ოჯახის ღირებულებების მიღმა. ეს (სტატუსის შეჩერებაზე მსჯელობა), ცხადია, აუცილებელი ნაბიჯია ღარიბაშვილის დღევანდელი ინტერვენციის შემდეგ“, — განაცხადა ევროპელი სოციალისტების პარტიის ვიცეპრეზიდენტმა.

მათი განცხადების ფონზე, რომ რაღაც „პოლიტიკური ოჯახი“ ყოფილან, მხოლოდ ერთი შეკითხვა დაებადება ადამიანს: თუ იციან ოჯახი რას ნიშნავს?

როგორც ჩანს, არ იციან, ან იციან, მაგრამ სხვაგვარად წარმოუდგენიათ და როდესაც პრემიერ ღარიბიშვილისგან შეიტყვეს, ოჯახი რაც ყოფილა, პირკატა ეცათ.

„ევროპელი სოციალისტების“ აღშფოთება-შეშფოთებას წინ უსწრებდა ვიოლა ფონ კრამონის ისტერიკა. როგორც კი ოფიციალურად დადასტურდა, რომ ბატონი ღარიბაშვილი უნგრეთში გაემგზავრებოდა კონფერეციაზე დასასწრებად და სიტყვით გამოვიდოდა, ვიოლა ფონ კრამონმა სასწრაფოდ მიმართა ევროპარლამენტში „ქართული ოცნების“ პარტნიორ პოლიტიკურ ჯგუფს კითხვით, რამდენად სწორად მიაჩნიათ საქართველოს მმართველ პარტიასთან ალიანსი: „ნახეთ? თქვენი პარტნიორი ქართული პარტია კამპანიას მართავს სტივ ბანონის ულტრამემარჯვენე ბანაკთან და სხვებთან ერთად უნგრეთში... დარწმუნებული ხართ, რომ ეს არის სწორი ალიანსი „პროგრესული“ პარტიისთვის?“ — დაწერა მან ტვიტერზე („ქართული ოცნება“ ევროპის სოციალისტური პარტიის (PES) დამკვირვებელი წევრია, რომელიც ევროპარლამენტში სოციალ-დემოკრატების პროგრესულ ალიანსშია (S&D) წარმოდგენილი.)

ვიოლა ფონ კრამონის საქმიანობის საინტერესო შტრიხებზეც მოგახსენებთ, თუმცა, ჯერ ბატონი პრემიერის გამოსვლაზე ვთქვათ, რაც ბევრად მნიშვნელოვანია, როგორც საქართველოს ხმა შუაგულ ევროპაში, ვიდრე უსაქმური მეტიკვნიტა ქალბატონის წარსული.

რა თქვა პრემიერმა კონფერენციაზე ისეთი, რომ მენჯებიდან ლამის ამოხტნენ საქართველოს ცალკეული თუ ჯგუფური მავნებლები და ბატონი ღარიბაშვილი გადაცმულ პუტინად გამოაცხადეს. თურმე, ბატონმა ღარიბაშვილმა ჰომოფობიურ განცხადებებთან ერთად, ანტიდასავლური შეთქმულების თეორიებიც გაავრცელა.

პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის გამოსვლიდან ლიბერასტებისთვის გულში სამსჭვალად ჩასობილი ფრაზების ამონარიდი:

„...ჩვენ ვიცავთ უმრავლესობის უფლებებს, რომელთათვის ოჯახი — ქალსა და მამაკაცს შორის ერთობაა, დედა ქალია, მამა — კაცი“;

„ნახევარი საუკუნეა, ამერიკული კონსერვატიული კავშირის მიერ ინიცირებული მოძრაობა იბრძვის ტრადიციული ფასეულობების განმტკიცებისთვის. დღეს ერთად ვდგავართ, იმ ფასეულობებზე ვისაუბროთ, რომელიც საფუძვლად უდევს ამ ერთობას“;

„როგორ ცდილობენ ძალები, რომლებიც თავისუფლებას, სიმართლეს უპირისპირდებიან, საკუთარ მიზნებს მიაღწიონ? სწორედ ტრადიციული, ოჯახური ფასეულობების ნგრევით და ყალბი თავისუფლების თავსმოხვევით — ლგბტ პროპაგანდით, არასრულწლოვანი ბავშვებისთვის — მშობლების გვერდის ავლით სქესის შეცვლის დაკანონების მცდელობით, ასეთი ე.წ. „სიახლეების“ იძულებით, რომელიც ადამიანს საკუთარ ფესვებს, ოჯახს, საკუთარ ტრადიციას, კულტურას, ისტორიას მოწყვეტს“;

„ასეთ რთულ დროში ჩვენი უმთავრესი იარაღი და დასაყრდენი სწორედ ტრადიციული, ქრისტიანული, ოჯახური, კონსერვატიული ფასეულობებია“;

„ჩვენ ვფლობთ სუპერძალას — ეს არის რწმენა, ჩვენი ოჯახები, ტრადიციები, ფასულობები, ამ ძალთა გაერთიანებით შევძლებთ დავუპირისპირდეთ ყალბი თავისუფლების და სიმართლის სახელით მოსულ ბოროტებას;

„ქართველებმა კარგად ვიცით მშვიდობის ფასი. ქართველები მცირე, მაგრამ ძლიერი, თავისუფლებისმოყვარე ერია. მაგრამ როდესაც საჭიროა, ჩვენ თავდადებით ვიბრძვით თავისუფლების, საკუთარი ოჯახებისა და სამშობლოს დასაცავად“;

„ეს ფასეულობები მარტივად გამოითქმის. ეს არის: რწმენა, თავისუფლება, მშვიდობა, ღირსება, სიმართლე, თანასწორობა, ოჯახის სიწმინდე, მშობლების, წინაპრების, ტრადიციების პატივისცემა, სამშობლოსა და ადამიანების სიყვარული, უკეთესი მომავლის იმედი“;

„... ადამიანის მართვა, ვინც დაივიწყა საკუთარი ისტორია, რწმენა — უფესვებო ადამიანის მართვა ადვილია“;

„მხარს არ დავუჭერთ უმცირესობის მცდელობას, აგრესული პროპაგანდით შეცვალოს ფასეულობები, რაც ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობას ღმერთის მიერ დადგენილად მიაჩნია, რომელსაც ქართველის იდენტობა, თვითმყოფადობა, მთელი ჩვენი ისტორია ეფუძნება“;

„მე ოთხი შვილის მამა გახლავართ და ქართველი მშობლების უდიდეს უმრავლესობასთან ერთად, მსურს, ჩვენი მომავალი თაობები ქრისტიანობაზე დაფუძნებულ უნიკალურ ღირებულებებზე აღიზარდონ, ისევე, როგორც ჩვენ აღგვზარდეს ჩვენმა მშობლებმა“;

„ისტორიულ ძველ თბილისში ერთმანეთის გვერდით არის მართლმადიდებლური ტაძარი, სომხური ეკლესია, კათოლიკური ეკლესია, მეჩეთი და სინაგოგა, რაც ჩვენი ქვეყნის ისტორიულ ტოლერანტობაზე მიანიშნებს. ტოლერანტობა ჩვენი უნიკალური ტრადიციაა“;

„როგორც არ დავუშვებთ უმცირესობის წარმომადგენლებზე ძალადობას, ისევე არ დავუშვებთ უმცირესობის ძალადობას უმრავლესობაზე“;

„დღესაც, როგორც მეორე მსოფლიო ომის დროს, ყველა ჩვენგანის, მთელი კაცობრიობის მიზანი და ამოცანა — მშვიდობის უზრუნველყოფაა. უნდა გავაცნობიეროთ, რომ მშვიდობას ალტერნატივა არ აქვს“;

„ჩვენ შევძელით მშვიდობის უზრუნველყოფა ჩვენს ქვეყანაში. დამოკიდებლობის მოპოვების შემდგომ ისტორიაში, ჩვენი ხელისუფლებაში ყოფნისას პირველად გვაქვს ხანგრძლივი და უწყვეტი მშვიდობა საქართველოში“;

„ჩვენმა პატრიარქმა ბრძანა, რომ თავისუფლებას „ცრუ თავისუფლების“ სახელით ებრძვიან. დიახ, ეს ნამდვილად ასეა. არავინ ებრძვის თავისუფლებას მონობის სახელით, არამედ — ცრუ თავისფლების; არავინ უპირისპირდება სიმართლეს სიცრუის სახელით, არამედ — ყალბი სიმართლის სახელით“;

„ყველაფერი, რაც შეიძლება შევაჯამოთ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს, ბრძენი და ჩვენს ქვეყანაში ყველაზე ავტორიტეტული ადამიანის მიერ შემოთავაზებულ პოსტულატებშია: ღმერთი, სამშობლო, ადამიანი!“

აი, თურმე რამ გადარია ეს მავნებლები, იმან, რომ ყველაფერი ისე უნდა იყოს დალაგებული, როგორც უფლისმიერი დადგენილი წესია? რომ ღმერთმა შექმნა ადამი და ევა და არა — ადამი და ადამი, ან ევა და ევა? რომ მშვიდობას ალტერნატივა არ გააჩნია?

ახლა მავანთა მხარდამხარ „ტაბულას“ რედაქტორი, ვინმე სუთიძე გამომდგარა ორღობის ენაჭარტალასავით და საკუთარ მამაზე ამბობს: „მამაჩემი ყოფილა „უცნობის“ აქციაზე და ვინც დედას მაგინებთ ხოლმე, შეგახსენებთ, რომ მამაც მყავსო“, — რა უნდა ელაპარაკო ასეთ კაცისმაგვარს, რომელსაც დედ-მამის გინება სახალისოდ ეჩვენება. „ომისგან ხომ დამიცვა ბიძინამ, ახლა მამად გადაკეთებისგან მიცავს“, — სუთიძის მხარდამხარ ქირქილებს „ტაბულა ბიცოლა“, ვითომ სიტყვებით თამაშობს...

შეგპირდით, ვიოლა ფონ კრამონზე ვიტყვი ორიოდე სიტყვას-მეთქი. „მაგარი იდეაა, ბატონო კახა კალაძე, თქვენ მე შთამაგონეთ, რომ საქართველოს მომავალ არჩევნებში, როგორც „მწვანეთა“ კანდიდატმა, მონაწილება მივიღო, მოდით, ვიმუშაოთ ამ საკითხზე“, — ასეთი ხუმრობით გამოეხმაურა ევროპარლამენტარი ქალბატონი თბილისის მერის ორაზროვან ნათქვამს, რომ, არ არის გამორიცხული, 2024 წლის არჩევნებში, ოპოზიციამ რომელიმე ევროპარლამენტარი რომელიმე ოლქში მაჟორიტარ კანდიდატად წარადგინოს (სხვათა შორის, ბატონმა კალაძემ ქალბატონ ევროპარლამენტარზე ისიც თქვა, არ გამოვრიცხავ, ხვალ-ზეგ „მოლოტოვის კოქტეილით“ ვიხილოთ თბილისშიო, მაგრამ ეს ნათქვამი რატომღაც ქ-ნმა ვიოლამ არ აიტაცა, ალბათ, სიმართლესთან ახლოს იყო და აისხლიტა, ამაზე ყურადღება არ გაამახვილა).

ამ ბოლო დროს, რატომღაც წელებზე ფეხს რომ იდგამენ და ერთიმეორის მონაცვლეობით გვსტუმრობენ ევროპელი „დაუძინებელი მეგობრები“, კი ვხედავთ, მაგრამ ზოგი ევროპარლამენტარი რომ მისჯილი სახადივით შეგვეყარა და, რაც არ ეკითხება, იმაზე ენას რომ არ აჩერებს?

მირიან ყარაულაშვილი: „დღეს კიდევ ერთხელ შემხვდა სადღაც ნიუსებში ამ ყბადაღებული ევროპარლამენტარის, ვინმე ვიოლა ფონ კრამონის კრეტინული კომენტარი საქართველოზე. კაიხანს ხმას არ ვიღებდი და არც დიდ ყურადღებას ვაქცევდი მის ნაბჟუტურებს, მაგრამ, როგორც ვხედავ, საქართველოში მაინც ახერხებს თავისი ზეგავლენის გავრცელებას საზოგადოების მცირე, მაგრამ მაინც რაღაც განსაზღვრულ ნაწილზე. ჰოდა, დატკბით, ყურადღებით წაიკითხეთ მისი ბიოგრაფია, როგორც „ლეგენდარული“ ხაბეიშვილი იტყოდა, მისი „ქურქუმალ ვაითი“ — ტიპშას, რუსეთის გარდა, ერთი დღე არ აქვს ნამუშევარი არსად!

ამ ქალბატონის, ევროპარლამენტარ ვიოლა ფონ კრამონის, შრომითი საქმიანობა მხოლოდ რუსეთის ე.წ. „გლუბინკას“ — ურალს, ციმბირსა და ბელგოროდის ოლქებს უკავშირდება და იქაც, სოფლის მეურნეობის მიმართულებით, თანაც, გასული საუკუნის 90-იან წლებში! ისიც, ღმერთმა უწყის, რა საქმიანობას ეწეოდა „ტრენერობის“ დროს, მაგრამ განსაკუთრებით საინტერესო მისი „ქურქუმალ ვაითის“ ბოლო პუნქტია: „თვითდასაქმებული ვიყავი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში“-ო!

ეს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიც, დარწმუნებული ვარ, პოლონეთი ან ლიეტუვა იქნებოდა, იქ კი, ამ კვალიფიკაციის მუშახელისთვის, მხოლოდ ერთი დარგია ხელმისაწვდომი: პოლონეთში სათბურის მუშად, ხოლო ლიეტუვაში — ფერმაში, მწველავად!

ჰოდა, ეს ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტრო და მისი შესაბამისი ელჩები რომ ეფექტურად მუშაობდნენ, აქამდე თვალებზე ააფარებდნენ ამ კრეტინ ქალს მის „ქურქუმალ ვაითს“.

რავა ყველა გზააბნეული და გლახაკი ჩვენს ეზოში უნდა შემოეხეტოს?

ქალბატონო დეიდა, რამ არ მოგასვენა, არ ჯობდა, ყოფილიყავი „ფონ“ და გვგონებოდი ღირსეული გერმანელი დიდგვაროვანი...

რაც შეეხება ყბადაღებულ ევროპულ პოლიტიკურ ოჯახს — საქართველოს არაფერი ესაქმება იქ, სადაც ოჯახის, სამშობლოსა და ღმერთის ცნებები ცრუ სწავლებებშია გადათქვეფილი!..

ნინო დაუშვილი



თუ მიზნად „ეროვნული სკოლის“ აგებას არ დავისახავთ, შედეგი არ გვექნება...

გვესაუბრება ენათმეცნიერი, აკადემიკოსი ავთანდილ არაბული:

თანამედროვე სკოლის რეფორმირების (გარდაქმნის) პროცესს, შეცდომით, თითქმის მთლიანად „ნაცმოძრაობის“ სახელს უკავშირებენ. ეს უთუოდ იმიტომ, რომ შესაბამისი მოვლენები მაშინ მკვეთრად იდეოლოგიზებული და აფიშირებული იყო. ქვეყნის დამოუკიდებლობის 30-წლიანი ისტორია საშუალებას გვაძლევს გავიაზროთ, თუ რა პროცესები გავიარეთ და როგორ მოვედით იმ მდგომარეობამდე, რაც დღეს გვაქვს...

გასული საუკუნის 90-იან წლებში, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე, ჯერ კიდევ არ იყო და ვერც იქნებოდა ახალი საგანმანათლებლო ხედვა ჩამოყალიბებული, რადგანაც მაშინდელი პოლიტიკური და სოციალური პროცესები არსებითად ფორსმაჟორულ პირობებში მიმდინარეობდა. იმ პერიოდში ქვეყანა არაერთი სიძნელის, მეტიც, ყოფნა-არყოფნის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. მაშინ შეუძლებელი იყო, ვინმეს სასკოლო თუ, ზოგადად, განათლების რეფორმებზე ეფიქრა და ემუშავა. ერთი რამ აშკარა იყო: განათლების სისტემის შეცვლა დამოუკიდებლობის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. ჯერ ერთი, საბჭოთა სისტემის სკოლა ძალადობაზე იყო დაფუძნებული — ბავშვის ფიზიკური დასჯა და მორალური დათრგუნვა ნებადართული პრაქტიკა იყო. რაც მთავარია, საბჭოური საგნობრივი სწავლება იყო ექსტენსიური ხასიათისა, რაც გულისხმობდა იმას, რომ სასწავლო საგნები და მათი პროგრამები იყო უკიდურესად გადატვირთული, ბავშვის სწავლება გახლდათ რაოდენობრივი და არა თვისობრივი (არსობრივი) შინაარსისა. ამიტომაც იყო საბჭოური სკოლა ნოყიერი ნიადაგი ზუთხვისა და შპარგალკომანიისა. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ საბჭოურ-სოციალისტური საგანმანათლებლო სისტემა იყო ღრმად იდეოლოგიზებული და დაშტამპული...

90-იანი წლების სტიქიური, სპონტანური დამოუკიდებელი საგანმანათლებლო პროცესებიდან შეიძლება ზოგ რამეზე ყურადღების გამახვილება. აღსანიშნავია, რომ კარგად იმუშავა ე.წ. პროფილური სწავლების იდეამ, ჩამოყალიბდა ორი მიმართულების სკოლები — ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო, რასაც, განსაკუთრებით ზედა კლასებში, თავისი დადებითი მხარეები ჰქონდა. დღესაც არიან სპეციალისტები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ამაზე უარი არ უნდა გვეთქვა. თუმცა, პროფილურ სწავლებას ერთი მინუსიც აქვს — ყველა ბავშვი ერთ ასაკში ვერ ავლენს შესაძლებლობებს და ვერ იყალიბებს განვითარების ორიენტირებს. ზოგი თავის ინტერესებში გვიან ერკვევა, ზოგმაც შეიძლება მოგვიანებით სულ სხვა მიმართულება აირჩიოს და სხვა უნარები გამოუმჟღავნდეს, რისი ხელოვნურად შეზღუდვითაც შეიძლება ტალანტები დავკარგოთ. არაერთი ცნობილი პიროვნების ბიოგრაფიაა ამისი მაგალითი. მაგალითად, როგორც ამბობენ, აინშტაინზე სკოლის პერიოდში ფიქრობდნენ, რომ მათემატიკური უნარი არ ჰქონდა. ერთი სიტყვით, ეს გახლავთ პროფილური სწავლების მინუსი. სხვა მხრივ, აღნიშნულ მიმართულებას ყოველმხრივ დადებითი პერსპექტივა ჰქონდა, მით უმეტეს, რომ პროფესიული ორიენტირებისთვის, საბოლოოდ მოსწავლეს მხოლოდ რამდენიმე საგნის გაღრმავებული სწავლა სჭირდება...

90-იანი წლების ბოლოს განათლების სფეროში კრიზისიდან გამოსვლის აშკარა ნიშნები გაჩნდა. მაშინდელმა განათლების მინისტრმა ალექსანდრე კარტოზიამ განათლების რეფორმის სისტემური ხედვა შესთავაზა საზოგადოებას. უთუოდ გახსოვთ, რომ იმ დროისათვის „მსოფლიო ბანკმა“ ჩვენი განათლების რეფორმის დაფინანსება გამოყო და, სხვადასხვა მიმართულებებთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება სკოლის რეფორმაზე გამახვილდა. მაშინ ყალიბდებოდა რეფორმის თეორიული ბაზისი, პირველი ალტერნატიული პროგრამები და სახელმძღვანელოები, ხორციელდებოდა ეროვნული გამოცდების პროექტი... მაგრამ კარტოზიას ამ იდეის განხორციელება არ დასცალდა, სამ-ოთხ წელიწადში ხელისუფლება შეიცვალა და ლომაია სრულიად ახალი იდეოლოგიით მოგვევლინა. შეიძლება ითქვას, ალექსანდრე კარტოზიას სტრატეგიული საგანმანათლებლო ჩანაფიქრი შემდგომ ლომაიამ საკუთარი პარტიის პოლიტიკურ-იდეოლოგიური მიზნების მისაღწევად გამოიყენა...

მშობლიური ენა – ნეოლიბერალიზმის სამიზნე

ერთი სიტყვით, რეფორმის საწყის ეტაპზე სასკოლო განათლების მთავარ დევიზად ისახებოდა ექსტენსიური სწავლების შეცვლა ინტენსიური სწავლებით, ანუ წარმმართველი მიზანი იყო: მოსწავლის ნაკლებად დატვირთვა, თავისუფალი, მაგრამ გაღრმავებული სწავლება, კრიტიკული აზროვნების განვითარება. განათლების სფეროში ნეოლიბერალურმა შეხედულებებმა იმძლავრა, ეროვნულ განათლებაზე კი, ფაქტობრივად, უარი ითქვა. სწორედ იდეოლოგიური ნიშნით განსაკუთრებული სამიზნე ეროვნული საგნები — მშობლიური ენა-ლიტერატურა და ისტორია აღმოჩნდა. მიზანმიმართულად ხდებოდა ე.წ. ინტეგრირებული სწავლების პროგრამების ტრადიციული სასწავლო ტექსტებისგან განტვირთვა. მაშინდელი მინისტრი პირდაპირ აცხადებდა: ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა მკვდარი ტექსტებიაო!.. არადა, უპირველესად, სწორედ სასულიერო მწერლობა განასახიერებს ქართველი ერის ისტორიულ ფასეულობებს.

აქვე, თანამედროვეობის კონტექსტით, ერთი გადაზვევა უნდა გავაკეთოთ: რამდენიმე დღის წინ პრემიერმა ღარიბაშვილმა უნგრეთში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე ისტორიული სიტყვა წარმოთქვა. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, ეს სიტყვა ისტორიულია თავისი შინაარსითაც და თავისი ადგილითაც საქართველოს უახლეს ისტორიაში. პირველად გახდა შესაძლებელი, რომ საქართველოს თავისი გამოკვეთილი პოზიცია დაეფიქსირებინა მსოფლიოში მიმდინარე ფასეულობითი ტენდენციების მიმართ. დარწმუნებული ვართ, მის მიერ ევროპაში გაჟღერებულ პოსტულატებს საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა უჭერს მხარს. მისი აზრია ის, რომ მნიშვნელოვანია, ტრადიციული ფასეულობები შევინარჩუნოთ და სიახლეები ამაზე დავაფუძნოთ და განვავითაროთ...

ცოდნის ჩანაცვლება „უნარ-ჩვევების განვითარებით“

ახალი განათლების რეფორმა კი, როგორც ითქვა, სწორედ ტრადიციული ღირებულებების წინააღმდეგ იყო მიმართული. საბედნიეროდ, მათ ვერ შეძლეს მთლიანად ამოეძირკვათ ლიტერატურა და ისტორია სასკოლო სწავლებიდან...

სასკოლო განათლების დღევანდელი მდგომარეობა მნიშვნელოვნად განაპირობა ტრადიციული „ცოდნის მიღების“ ჩანაცვლების პოლიტიკამ „უნარ-ჩვევების განვითარებით“. სხვათა შორის, ეს ასპექტი ტრადიციული სკოლის აქილევსის ქუსლი იყო. ძველი სისტემის სკოლის მოსწავლეები, წესისამებრ, თეორიულად კარგად იყვნენ მომზადებულნი, მაგრამ ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება უჭირდათ. ეს სერიოზული პრობლემა იყო. ამიტომ სკოლებში უნარ-ჩვევების „სწავლებას“ საზოგადოება პოზიტიურად შეხვდა. თუმცა ესეც იდეოლოგიის ნაწილი აღმოჩნდა. როგორც იცით, სკოლა სამ საფეხურად იყოფა. სკოლის ადრეულ საფეხურზე, მოსწავლისთვის უნარ-ჩვევების განვითარება გადაწყდა. ფაქტობრივად, მივიღეთ უნარ-ჩვევები ცოდნის გარეშე. არ შეიძლება, უნარ-ჩვევების განვითარება სკოლის ერთადერთი ამოცანა იყოს; ამ ყოველივემ სასკოლო პროცესი ძალიან დააზარალა და ეს საკითხი დღემდე მოუგვარებელია...

ავტოკრატიიდან დემოკრატიამდე

პირველი პრობლემა აპროფესიონალიზმია - ყველა სფეროში კომპეტენტური, პროფესიონალი ადამიანები უნდა იღებდნენ გადაწყვეტილებას (როგორ არ გავიხსენოთ აქ რ. თაბუკაშვილის მაქსიმა: ნამდვილი პატრიოტიზმი პროფესიონალიზმია!), ამიტომ პირველი ამოცანა სასკოლო განათლების სისტემაში კომპეტენტური ადამიანების ჩართვაა.

მეორე პრობლემა განათლების სისტემის გადატვირთულობა და, შესაბამისად, მოუქნელობაა. ზოგადად, სერიოზული პრობლემაა მმართველი სისტემები, რომლებიც დახუნძლულია გაუგებარი სახელისა და ფუნქციის სტრუქტურებით. „ქართულმა ოცნებამ“ მართვის პოლიტიკის შინაარსი შეცვალა, ანუ ავტოკრატიული მართვა დემოკრატიულით შეცვალა, მაგრამ ფორმა, ანუ მმართველობითი სისტემა იგივე დატოვა. ეს სერიოზულად აფერხებს სახელმწიფოებრივ პროცესებს. შედეგად ვიღებთ მოუქნელ, გადატვირთულ სისტემას, რომელიც, ძირითადად, უცხოური გამოცდილების გადმოტანაზე („კოპირებაზე“) არის ორიენტირებული. განათლების სფეროში კრიზისს ისიც ამწვავებს, რომ ყველა ინიციატივა ბიუროკრატიულ სიბნელეში იძირება. ოპტიმალური მიდგომა იქნებოდა თანამედროვე ევროპული მიღწევების სინთეზი ეროვნულ საგანმანათლებლო გამოცდილებასთან, კერძოდ, იმის მხედველობაში მიღება, რომ ჩვენ მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული მემკვიდრეობა გვაქვს ამ მიმართულებით (იაკობ გოგებაშვილი, დიმიტრი უზნაძე...). თუ მიზნად „ეროვნული სკოლის“ აგებას არ დავისახავთ, შედეგი არ გვექნება... ამ კონტექსტში ერთიც უნდა აღინიშნოს — პასუხისმგებელი პირისა და პასუხისმგებლობის საკითხი. 90-იანი წლების შემდეგ განათლების სისტემამ იმდენი მინისტრი გამოიცვალა, წლების რაოდენობაზე რომ გავყოთ, თითოეულს ორი წელი თუ გამოუვა. ხომ აშკარაა, რომ ყოველი ახალი ხელმძღვანელი ახლიდან იწყებს სარეფორმო პროცესს, ბოლოს კი მხოლოდ იმის თქმა შეუძლია, რომ არ დასცალდა. ზედმეტია აქ იმაზე შეჩერება, რომ ეს „პასუხისმგებლობა“ და ზემოთნახსენები „პროფესიონალიზმი“ ერთმანეთთან ძირეულად არის დაკავშირებული... ასე მიზანს ვერ მივაღწევთ. თან ყოველი ახალი მინისტრი რეფორმების გატარებას თავიდან იწყებს და ასე გრძელდება დაუსრულებლად, რაც დაუშვებლად მიმაჩნია.

მესამე პრობლემა: განათლების რეფორმის მიზანი გაღრმავებულ სწავლებაზე გადასვლა უნდა ყოფილიყო; ანუ, ექსტენსიური სწავლება უნდა შეცვლილიყო ინტენსიური სწავლებით: ნაკლები დატვირთვა მეტი შედეგით. რაციონალური ინტენსიური სწავლებით უნდა მიღწეულიყო ბავშვის კრიტიკული აზროვნების განვითარება — თანამედროვე მოაზროვნე ბავშვის აღზრდა. ამ „რეფორმის“ შედეგად კი რა მივიღეთ? — უნარ-ჩვევების განვითარება, რომელიც, სამწუხაროდ, თუ მხოლოდ სასკოლო შედეგებიდან ამოვალთ, რეალურად მოასწავებს საუნივერსიტეტო განათლებისთვის „უნარშეზღუდულობას!“

ევროპული სკოლის სწავლების საიდუმლო

ერთი გადატვირთული სისტემის „რეფორმით“ მივიღეთ მეორე გადატვირთული სისტემა. იცით, როგორია ყველაზე წარმატებული ევროპული სკოლების პოლიტიკა? — იქ სკოლის სასწავლო პროცესი საკმაოდ დატვირთულია, მაგრამ, სამაგიეროდ, ბავშვებს სახლში შესასრულებლად დავალებებს, ფაქტობრივად, არ აძლევენ. დიახ, ყველაზე წარმატებულ სკოლებში ბავშვები ჩანთებს, წიგნებს, რვეულებს სკოლაში ტოვებენ და „ვალმოხდილი“ ბრუნდებიან სახლში. ჩვენს სკოლაში კი მეორე-მესამე საფეხურების მოსწავლეს იმდენი

7 გვ.

რა საჭიროა განათლება, როცა ცოდნა თავში აქვთ...

რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს!

ეჭვი მაქვს, რომ ხელოვნურად შექმნილი ქართული ტერმინების მიღება იმთავითვე იმ ჯგუფს არ უნდა, რომელსაც ქართული ფესვი არ აქვს. შესაბამისად, ქვეცნობიერი სიძულვილი აქვს ყოველივე ქართულის მიმართ. სწორედ ამიტომ დასცინიან ქართულ ტერმინებს და ეწინააღმდეგებიან მათ მიღებას, ცდილობენ, უცხოური პროგრესად წარმოაჩინონ, ქართული კი — ჩამორჩენად. სხვანაირად როგორ აიხსნება ის, რომ ტერმინთშემოქმედება, ზოგადად, ხელოვნურია, მაგალითად თანამედროვე კომპიუტერული ინგლისური ტერმინოლოგია დავასახელოთ — მათი ტერმინთშემოქმედება რატომ არ არის სასაცილო? კომპიუტერთან მუშაობის დროს მართლა „თაგვზე“ გვიდევს ხელი?

„ზედმეტად ქართული“ ტერმინთშემოქმედება უფრო მავნებელია ქართული ენისთვის, თუ ტერმინთშემოქმედებით მიღებული სიტყვების ბერძნულიდან, არაბულიდან, თურქულიდან, სპარსულიდან,

რუსულიდან, ფრანგულიდან, ინგლისურიდან და ა.შ. სიტყვების უცვლელად გადმოტანა?

საერთაშორისო სიტყვებად რომ შემოგვასაღეს, იქნებ, სულაც არ არის ისინი საერთაშორისო?

ინგლისურ ენაში, რომელიც ბარბარიზმების ძირითადი წყაროა თანამედროვე ქართულისთვის, ლექსიკის 60% ლათინური და ფრანგული ძირის სიტყვებია.

ენას აქვს ორი არჩევანი: ახალი ცნებებისთვის ქმნის სიტყვებს მშობლიური ენის რესურსით, ან სიტყვა შემოაქვს როგორც უცხო სიტყვა. ბევრი ენა ირჩევს მშობლიურს.

ბარბარიზმი არის ენაში შემოტანილი ისეთი უცხო სიტყვა, რომელსაც ამ ენაში შესატყვისი აქვს, ხშირად რამდენიმეც კი და ამ ბარბარიზმის ასიმილაცია ენაში არ ხდება.

გიგი თევზაძის ნათქვამი არ მავიწყდება, განათლების რეფორმის მიზანი საქართველოში ინგლისური ენის სახელმწიფო ენად დამკვიდრება რომ ყოფილა და აი, რატომ: 1872 წელს, ცარიზმის ერთგულმა მოხელემ, გიორგი მუხრანბატონმა ნარკვევი გამოსცა **«О существе национальной индивидуальности и об образовательном значении крупных народных единиц.»** მისი მტკიცებით, კაცობრიობის პროგრესი გულისხმობს მცირე ერების მოსპობას, დიდი ხალხების გაბატონებასა და დიდი მოცულობის „სახალხო ორგანიზმების“ შექმნის აუცილებლობას. რადგან მათ არ შეუძლიათ სრულყოფილი სახელმწიფო ორგანიზმის შექმნა, მსხვილ ეროვნულ ერთეულებში უნდა გათქვეფილიყვნენ.

მცირე ერების მისწრაფება ინდივიდუალური არსებობის შენარჩუნებისკენ მუხრანბატონს არა მხოლოდ უიმედოდ, არამედ მავნედაც მიაჩნდა. ასეთი მედროვეების საქმის გამგრძელებლებს რა გამოლევს. ერთხანს თუ სპარსული, არაბული, თურქული, რუსული გვიტევდა, ახლა ის ანგლოსაქსური გვიტევს, რომელიც ნიაღვარივით გადმოასხეს სრულიად შეგნებულად. ჯერ თუ მხოლოდ ასობით სიტყვას ემუქრება გაქრობით, თუ ასე გაგრძელდა, ათასებად



გახდომის შემთხვევაში „გიგი თევზაძეების“ ოცნებაც ასრულდება!

მაგალითად, უცხო სიტყვა **„ასპირანტი“** ქართულში შემოსულია რუსულიდან და ნიშნავს ასპირანტ სტუდენტს; იგივე ძირის სიტყვა ამჯერად ინგლისურიდან შემოვიდა და გამოიყენება ნატო-ში გაწევრიანების მსურველ ქვეყნებთან მიმართებაში „ასპირანტი ქვეყანა“. რეალურად კი, ინგლისური სიტყვის **“aspirant”**, რომელიც ნაწარმოებია ზმნისგან **“to aspire”** (სწრაფვა), შესატყვისებია: მაძიებელი, ან თუნდაც კანდიდატი, პრეტენდენტი. ასეთი მაგალითი უამრავია.

ინგლისურ ენაში არის სიტყვები, რომლებსაც ფართო მნიშვნელობა აქვს, მაგალითად, ქართულში დასამკვიდრებლად შემოტანილი **„ფასილიტატორი“**. ინგლისურად **fasilitator _ fasilitation** ნიშნავს შემსუბუქებას, გაადვილებას, გაიოლებას. შესაბამისად, ის, რაც აადვილებს, ამსუბუქებს, ხელს უწყობს რაიმეს, კერძოდ: სასწავლო პროცესს, დისკუსიას, სამუშაო შეხვედრას და ა.შ. ინგლისური განმარტებიდან ჩანს, რომ იგი არ ერევა უშუალოდ პროცესში, არამედ მიმართულებას აძლევს რომელიმე კუთხით. ენაში არის ბევრი სიტყვა, ქართულიც და უცხო ენიდან შემოსული და დამკვიდრებული, რომელიც „ფასილიტატორის“ მნიშვნელობას გადმოსცემს ერთი სიტყვით და არა მრავალით, მაგალითად, „სასწავლო პროცესის წარმმართველი მასწავლებელი“ და ა.შ.

ინსპირაცია — შთაგონება, **კრეატიული** — შემოქმედებითი და ა.შ. რითი იწუნებენ ქართულ ენას „ახალ ქართველებად“ გამოსაყვანი ახალგაზრდები, ეს ხომ გამიზნულად ნიადაგგამზადებული მოვლენაა და არა ცალკეული შემთხვევები...

უცხო ენის სწავლება მშობლიურობ, ქართული ენის გაქრობისთვის არის დაგეგმილი.

ვის შემოაქვს ეს ინგლისური ბარბარიზმები და რა მეთოდებით? ინგლისური ბარბარიზმების შემოტანის მნიშვნელოვანი წყაროა: უცხოეთში განათლებამიღებული ქართველი, განსაკუთრებით, თუ ის პოლიტიკოსად „ექსპერტად“ ან ნჯო-დ „გაიზარდა“. ეს კატეგორია ჩანს სხვაზე მეტად ეკრანზე და მათი შეგნებული თუ შეუგნებელი მეტყველებიდან ვრცელდება; ე.წ. ტრენინგები, რომლებიც ეფუძნება ინგლისურენოვან მასალას და რომლებსაც უტარებენ ყველას, მასწავლებელი იქნება, ბანკირი თუ ეკონომისტი.

დაკვირვებიხართ, რანაირად მეტყველებენ ახალდრეების ქართველები?

საუბრობს ადამიანი, თითქოს მოსდევდნენ და ირბინა — მეტყველებს აჩქარებული და ყლაპავს ბგერებს, ზოგ შემთხვევაშიმ მარცვალსაც კი (ზოგჯერ სიტყვასაც) და მკვეთრ მახვილებს აკეთებს სიტყვის დაბოლოებებზე, რაც ქართულ ენაში

უცხოური სიტყვებია: „დააფდეიოთება“ - განახლება, დაკლიკვა - დაწკაპუნება, დალაიქება - მოწონება, დათაგვა - მონიშვნა, დაფორვარდება - გადაგზავნა, დაქენსელება - გაუქმება, დისემინაცია - გავრცელება, დრაივი - (მუხტი), ევალუაცია - შეფასება და ა.შ.

ქართული შესატყვისები რატომ არის სამარცხვინო, დასაცინ მდგომარეობაში რატომ ვიგდებთ თავს?

არასდროს ყოფილა. ასეთ მეტყველებას ბარბარიზმები ერთვის და რა ენაზე საუბრობს ეს ადამიანი, ვეღარ გაიგებ. ასეთ მეტყველებას ისმენს ბავშვი და გაზრდილი სწორედ ამ გაუგებარ ენაზე იმეტყველებს.

ქართულ ენაზე გავლენას ახდენდა, ვთქვათ, აზიური და ყველა მეზობელი ქვეყნის ენა, მაგრამ ეს ბუნებრივად ხდებოდა, ქართულ სალიტერატურო ენაზე გავლენას ვერ ახდენდა, „ქუჩაშივე“ რჩებოდა, ახლა კი სახეზეა ანგლოსაქსური ენის პირდაპირი და გამიზნული თავდასხმა!

ენა ცოცხალი ორგანიზმია და დასაბამიდან განიცდის ცვლილებას, რი ენის გარეშე ყოვლად დაუშვებელია, არადა, სწორედ ამას ვხედავთ! საქართველოში გავრცელებული უცხო ენების სწავლების მეთოდები მაქსიმალურადაა ორიენტირებული მშობლიური ენის განდევნაზე სასწავლო პროცესიდან ერთენოვანი ლექსიკონების საშუალებით, რაც, თავისთავად, ქართულის სრულად განდევნის წინაპირობაა. გულახდილად რომ ვთქვა, არჩევანის გაკეთება ცუდსა და უარესს შორის გვიწევს...

ინგლისური ბარბარიზმების გამოყენების მიზეზი, ხშირ შემთხვევაში, ქართული ბუნებრივი შესატყვისის უცოდინარობაა. ეს, მიზანმიმართული მტრობა მგონია და ვფიქრობ, ქართული ენის გაქრობისთვის

მაგრამ ახლა იმდენად სახიფათო პროცესები მიმდინარეობს, თუ ეს ხელოვნურად შექმნილი მდგომარეობა არ შეჩერდა, ჩვენი დარბაისლური ენიდან პირველყოფილი გადაძახილიღა დაგვრჩება. საქმე ის გახლავთ, რომ ქართული ენის სტრუქტურა და მისი სამყარო საგანგაშოდ იცვლება!

აუცილებელია ენის ნორმებისა და სწავლის წესების გადახედვა! მშობელს უხარია, როდესაც მის პატარას საბავშვო ბაღიდან ასწავლიან უცხო ენას. პირველი კლასიდან ნორმად აქციეს უცხო ენის სწავლება, არადა, ამ ასაკში ბავშვის სამეტყველო სისტემა ქართული ენის სრულფასოვნად სამეტყველოდაც კი არ არის მზად, არათუ სხვა ენისთვის. იაკობ გოგებაშვილმა „დედა ენა“ შეუქმნა პატარებს და მას მაინც დაუჯერეთ, თუ ოტია იოსელიანს არ დაუჯერებთ!..

ქართული ენის სწავლა ფონეტიკით იწყება!

1991წელს, საქართველოს განათლების სამინისტროს ისრაელიდან ეწვივნენ კოლეგები და როდესაც განათლების სისტემაზე საუბრობდნენ, საქართველოს განათლების მინისტრის მოადგილემ, მერაბ ჯიბლაძემ ჰკითხა: ახალშექმნილი სახელმწიფო რომ იყავით, რომელი ქვეყნის განათლების სისტემა აირჩიეთო? დელეგაციის ხელმძღვანელმა უპასუხა: რამდენიმე ქვეყნის განათლების სისტემა შევისწავლეთ: რუსული, გერმანული, ფრანგული, ამერიკული, იაპონური და სხვა ქვეყნების განათლების კანონები, რამაც მიგვაღებინა გადაწყვეტილება, რომ შეგვექმნა საკუთარი, რადგან სხვისი კანონები არ გამოგვადგებოდა, ჩვენ ებრაელები ვართო..

როდესაც აკადემიკოს ლეონტიევს ტელეგადაცემაში ჰკითხეს, რომელი ეკონომიკური პოლიტიკა იქნებოდა რუსეთისთვის უმჯობესი, ამერიკული, გერმანული თუ იაპონური, მან უპასუხა: მე იაპონურ ეკონომიკურ პოლიტიკას ავირჩევდი, მაგრამ ამისათვის რუსეთში მხოლოდ იაპონელები უნდა ცხოვრობდნენო...

იმ პერიოდში, ელექტრონულ მისამართზე **rti.org.** გაჩნდა ინფორმაცია: „ამბიციური საგანმანათლებლო რეფორმა საქართველოში“, საიდანაც ცნობილი გახდა, რომ საქართველოში განათლების რეფორმის წარმართვაში ეხმარებოდა **RTI (Research Triangle Institute),** ინსტიტუტი, რომელიც 1958 წელს აშშ-ის სამი უნივერსიტეტის ბაზაზე დაარსდა. ამ ინსტიტუტის პროგრამა „საქართველოში საშუალო განათლების გაუმჯობესებისთვის ხელშეწყობა“ „აშშ საერთაშორისო განვითარების საგენტო“ **USAID**-ის მიერ იყო მხარდაჭერილი. ინტერნეტინფორმაციის მიხედვით, აღნიშნულ ინსტიტუტს ანალოგიური პროგრამები ჰქონია: ლათინურ ამერიკაში (პერუ), აზიაში (კამბოჯა, ინდონეზია, პაკისტანი), აფრიკაში (გვინეა, ნიგერია, სენეგალი და სამხრეთ აფრიკა), ხოლო „ევროპიდან“ ეს პატივი მხოლოდ საქართველოს ერგო.

ალბათ, დაინტერესდით, ამათგან რომლის დონეზე დავიყვანეთ ჩვენი შვილები? საქართველოში მიმდინარე პროგრამა იმ პროგრამების ზუსტი ანალოგი გახლდათ, რაც პაკისტანსა და კამბოჯაში განხორციელდა...

P.S. შევარდნაძის დროს თუ ჯერ კიდევ მოჰყვებოდა ხალხს ინერციით „საბჭოთა განათლებით“ განათლება, სააკაშვილის ხელისუფლების დროს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ის რესურსიც ამოიწურა და „განათლების რეფორმით“ საჯარო სკოლებიდან რაც მივიღეთ, „მოჯამაგირეობათმცოდნების“ პრიორიტეტად გახდომის შემდეგ, იმას დღეს ვიმკით.

ნინო დაუშვილი
(გაგრძელება იქნება)

ახალი მსოფლიო წესრიგი ახალი საქართველოსთვის

„ახალი მსოფლიო წესრიგი!“

ეს ე.წ. წესრიგი ხომ სადღაც, ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით მართლაც არის ჩამოყალიბებული პუნქტებად, თავებად, ქვეთავებად თუ პარაგრაფებად...

გასული წლის 22 მარტს ჯო ბაიდენმა ოფიციალურად განაცხადა: მსოფლიოში ახალი წესრიგი დაიწყო, რომლის ცენტრშიც ამერიკა იქნებაო. ძილ-ღვიძილში მოსიარულე ჯოს, რომელსაც ობამა დღესაც აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი ჰგონია და მოსახლეობას მოუწოდებს, ხმა არ მისცენ, შემეცნებაში აქვს ჩაკირული „რაღაც მსოფლიო წესრიგი“, თორემ, რომელი წესრიგის განმკარგავი ის არის, რომ მიუშვა, საკუთარ საწოლს ვერ მიაგნებს სხვისი დახმარების გარეშე...

ამერიკელმა პუბლიცისტმა ჯონ კოლემანმა, საკუთარ წიგნში „კომიტეტი 300“ შესანიშნავად აღწერა, რას წარმოადგენს ეს „წესრიგი“. როგორ ფიქრობთ, მთავარი რა ყოფილა ამ წესრიგში? — ის, რაც წლების წინათ გვითხრა ჰერმან ვან რომპეიმ, ევროსაბჭოს თავმჯდომარემ: „ისეთი ცნებები, როგორიცაა „ეროვნება“ და „სამშობლო“, ისტორიის სანაგვეზე უნდა მოვისროლოთ!“ იგივეს ამბობს ახალი მსოფლიო წესრიგი, რომ, უპირველესად, ეროვნული ქვეყნების „ინტეგრაცია“, ანუ ერთმანეთში გათქვეფა უნდა მოხდეს და ერები, როგორც ეროვნულები, უნდა გაქრნენ; უნდა იყოს ერთი რელიგია და ყველასთვის სავალდებულო ცხოვრების ერთი წესი — სწორედ ამისთვის შექმნილა „გაერო“, „ნატო“, „რომის კლუბი“, „მალტის ორდენი“ და ა.შ. უამრავი სხვადასხვა დასახელების ორგანიზაცია, რომელთა სიცოცხლისუნარიანობას უმდიდრესი ბანკების მთელი ქსელი უზრუნველყოფს.

ჩვენ გვითხრეს, რომ ევროპამ „ევროს“ შემოღება ევროპული ქვეყნების გადაწყვეტილებით მიიღო დოლარის საპირწონედ, მაგრამ, როგორც ჩანს, საქმე ასე სულაც არ ყოფილა!

„ახალი მსოფლიო წესრიგის“ დამყარების გზაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ყოფილა „ევროკავშირის“ შექმნა, რომელსაც ევროპის ქვეყნებს შორის საზღვრები უნდა წაეშალა და მეორე — ყველა ევროპული ქვეყანისთვის საკუთარი ვალუტა უნდა წაერთმიათ და საერთო ფულის ერთეული უნდა ჰქონოდათ. ევროკავშირის შექმნის ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი, დიდი ბრიტანეთი, უკანმოუხედავად გაიქცა მის მიერვე შექმნილი ევროკავშირიდან, ახლა კი საქართველოს უკრავს ტაშს და აიმედებს, გვერდზე დაგიდგებით ჩემგან დაწუნებულ კავშირში თავის შესარგავადო.

სერიოზულად ინტერესდებიან საქართველოს მოქალაქეები: რა თამაშს ვთამაშობთ, როდესაც გვიხარია ევროკავშირის ელჩის პაველ ჰერჩინსკისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩების ჩვენთან სტუმრობა და გუნდრუკს ვუკმევთ მათ?

საინტერესოა, საქართველოში ამიტომ ხომ არ ებრძვიან „ძღვენიჭამიები“ გამორჩეულად სწორედ ეროვნულ ცნობიერებასა და მართლმადიდებლობას?

საიქიოს მოკითხვასავით გამომივა, მაგრამ ასე იყო: 1996 წლის იანვარში, ზაზა დარასელმა ტელეინტერვიუში ედუარდ შევარდნაძეს ჰკითხა: „გადაწყვეტილებების მიღებისას ვის რეკომენდაციებს ეყრდნობითო“. შევარდნაძემ მოკლედ და სხარტად მიუგო — არავისასო! რამდენიმე წამშივე მიხვდა, რომ „რაღაც ისე არ თქვა“ და გამოასწორა — მე მხოლოდ სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციებს ვითვალისწინებ, რომლებიც მთელი თხუთმეტი ტომიაო...

ოდესმე ვინმე თუ გვეტყვის, რა ეწერა იმ ავადსაფიქრალ რეკომენდაციებში, რის სანაცვლოდ მოედინებოდა ოკეანის გაღმიდან სავალუტო თუ ჰუმანიტარული დახმარებები...

ჯერ კიდევ მაშინ თქვა ვიღაცამ რომელიღაც კანონის განხილვისას პარლამენტში: „ამ კანონის განხილვა არ შეგვიძლია, რადგან ჯერ ამერიკელი ექსპერტის დასკვნა არ მიგვიღიაო“...

იმ დროიდან მოყოლებული, დარბიან „ჩვენები“ გაღმა-გამოღმა და ეკითხებიან: „ევენეციის კომისიას“, ვაშინგტონს, ბრიუსელს, ნატო-ს, ევროკავშირს და, ქართველი ხალხის გარდა, ყველას, რომელი უნდა მიიღონ და რა უნდა გააკეთონ — ჰოდა, კარგი დახლიც ამიტომ გვიდგას!

ერთხანს ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტის ქვეყნების გაერთიანებაზეც დაასველეს სიტყვა, მაგრამ მალევე ჩაჩუმდნენ, თუმცა, ნეტავ, რამდენი ხნით? ასე, „კეთილი მიზნების გამო“ გაერთიანდება სამხრეთ ამერიკის კონტინენტიც, მთელი აზიაც და „ახალი მსოფლიო წესრიგიც“ დამყარდება, მაგრამ მანამდე მსოფლიოს მოსახლეობა ერთ მილიარდამდე უნდა შეამცირონ — ასე ყოფილა განსაზღვრული...

კოლემანმა ან ვინმე სხვამ რომ არ გვითხრას, ლოგიკურია, რომ დედამიწის მოსახლეობის შემცირება ღარიბი ქვეყნებიდან დაიწყება. რაგინდ თავმომწონედაც უნდა ვიძახოთ, რომ ქართველები უძველესი ცივილიზაციის ერი ვართ და ჩამოვთვალოთ, რა ცოდნა მივეცით მსოფლიოს, ფაქტია, რომ როგორც კი დამოუკიდებელ ქვეყნად გამოვაცხადეთ თავი და ტაში დაგვიკრეს, დამოუკიდებლებად გაღიარეთო, განვითარებად ქვეყნად ჩამოგვაქვეითეს!

„თქვენთან როგორ შეიძლება ოპერაციების ჩატარება, თქვენთან მხოლოდ აცრები უნდა გაკეთდესო“, — წლების წინათ რატომ თქვა ვინმე ჰაჩისონმა? ეს კაცი, ალბათ, აღარც არის სააქაოს, მაგრამ სერიოზული ოპერაციების გასაკეთებლად უცხოეთში რომ მიდიან საქართველოს მოქალაქეები, ესეც ხომ ფაქტია. სწორი დიაგნოზის დასასმელად ასაკოვან ექიმს დაეძებს საკუთარ თავზე მზრუნველი საქართველოს მოქალაქე და თუ იმ ასაკოვან ექიმს სამედიცინო განათლება და პრაქტიკა საბჭოთა რუსეთში აქვს მიღებული, მას უკვე ბრმად ენდობა.

უხილავმა ხელმა დაანგრია განათლების სისტემა, ჩაკლა სოფლის მეურნეობა, ადგილობრივი წარმოება და აბსოლუტურად ყველაფერი გაავერანა, რაც ქვეყანას თვითმყოფადობას უმყარებს. შეუმჩნევლად გაპარტახებისა და მის უმტკივნეულოდ გადასატანად უხვად მოგვაყარეს ე.წ. გრანტები და სესხები. რა მივიღეთ შედეგად? — ერთი მხრივ, ამ გრანტებით გამდიდრებული, აღზევებული მდაბიოები და მეორე მხრივ — ვალი თავისი პროცენტებით, რომელიც იმ ხალხის გადასახდელი გახდა, ვისაც გროშ-კაპიკი არ შეხვედრია თავის წილად იმ „ძღვენებიდან“.

ამ მოცემულობაში მყოფებს, დაგვიფჩენია პირი და უფრო მეტად როგორ ვიქცეთ ჩენჩოდ, იმას მიველტვით. საქართველოს განვითარების კონცეფცია ოკეანისგაღმიდან გადმოგვიგდეს, „მოქცევის ახალი კოდექსი“ — ცხრა მთას იქიდან და ჩვენც მორჩილი ხბოებივით მივყვებით თავხედი და ბრაზიანი მეხრის მოთხოვნებს „ახალი ქართველები“ უნდა გავხდეთ „ახალ საქართველოში“...

როდემდე?

„გმირთა მოედანზე“ განათებული გმირთა მემორიალი რომ დავინახე, გულს შემომეყარა — ევროკავშირის დროშის ანალოგი!

ეს რა არის, რისი ნიმუშია, ვისი მასხრად აგდებაა: საქართველოსთვის თავდადებული მეომრებისა, ევროკავშირისა თუ საკუთარი თავისა?! „ამ დიდ და ღრმა ჩანაფიქრს“ ვინ აუნთო „მწვანე შუქი“ და რატომ?

როდესაც სიმბოლოებს გამოსახავ, სიმბოლოების რაობაც უნდა იცოდე, წინააღმდეგ შემთხვევაში, მსუბუქად რომ ვთქვათ, უსწავლელი წამხედურა ხარ, ან ტიპიური მლიქვნელი ქლესა...

დროშის დანიშნულების, მისი ადგილისა და გადაადგილების წესებისა არაფერი გაეგებათ და ფერების სემანტიკური მნიშვნელობისა რა უნდა იცოდნენ? ან იქნებ, იციან კიდეც და განგებ გადააკეთეს ასე?

(მასონურ კაბალისტიკაში, წითელი ფერი არის ღმერთის წინააღმდეგ აღმდგარი ურჩხულის (დრაკონის) ფერი, ხოლო ლურჯი (ცისფერი) ანდროგენული (ორსქესოვანი) არსების, ბაფომეტის ფერი, რომელიც ყოველგვარი სექსუალური გარყვნილების ეშმაკთმთავარია. ვარსკვლავი არის ღმერთისგან გათავისუფლების სიმბოლო. რაღაც იარლიყების მოკვრას ამაოდ ნუ შეეცდებით, სჯობს, მოისმინოთ, რასაც ვამბობ და დაიხსომოთ...)

სწორედ ამიტომ არის, რომ ორკარიანი „ლაბორატორია-კრემატორიუმი საქართველო“ ამდენი ათეული წელია, ხრჩოლავს და ერთი კარიდან ცხედრები გამოედინება, მეორედან — „ახალი ქართველები“...

ლამაზი სიტყვა შემოაგდეს — „პოლარიზაცია“, „კოჰაბიტაციის“ შემდეგ ასეთი „ლამაზი“ სიტყვა აღარ გვსმენია...

თქვენ, ჩემი საქართველოს „დაუძინებელო მეგობრებო“ აშშ-იდან და ევროპული სტრუქტურებიდან, ერთი ჭიჭიკია და ერთი ძუკუ გეყოფათ, თავი რომ მარს-პლუტონზე გეგონოთ და ვის აბითურებთ, თქვენი აზრით?

თქვენ, სწორედ თქვენ ხართ არა სახელმწიფოები, არამედ ის „უწყებები“, საიდანაც არაფერი კარგი არ გამოედინება, არც სიტყვიერად, არც წერილობით. სიმართლე თქვა ჩემმა ვირტუალურმა მეგობარმა: საბჭოთა კავშირის გაუარესებული ვარიანტი ხართ და მეტი არაფერი! საბჭოთა კავშირში, მასონური ტიპის ზესახელმწიფოებრივ წარმონაქმნში, 15 ქვეყანა იყო გაერთიანებული. მასში შემავალ ქვეყნებს ჰქონდათ ყველა სახელმწიფოებრივი ატრიბუტიკა, ჰყავდათ მთავრობა და არჩევითი სახელმწიფო ორგანო „უმაღლესი საბჭო“. ჰქონდათ საბჭოთა კავშირიდან გასვლის იურიდიული უფლებაც, მაგრამ ეს ყველაფერი ფორმალური იყო. რეალურად, ამ სახელმწიფოების „უფროსი“ რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა იყო. მოკლედ რომ ვთქვათ, მასში შემავალი ქვეყნები დე-იურე დამოუკიდებლები ვიყავით, დე-ფაქტო — რუსეთის კოლონიები — ცარისტული იმპერის მოდერნიზებული ვარიანტი იყო.

აბა, არ ჰგავს საბჭოთა კავშირს რაიმეთი ევროკავშირი? ჰგავს კი არა, ზუსტი ანალოგია, ოღონდ, გაუარესებული ვარიანტი!

ევროკავშირის ქვეყნებსაც აქვთ სახელმწიფოებრივი ატრიბუტიკა და ჰყავთ უმაღლესი მმართველი ორგანოები, მაგრამ, ამავდროულად,

4 გვ.

თუ მიზნად „ეროვნული სკოლის“ აგებას არ დავისახავთ, შედეგი არ გვექნება...

დავალება ეძლევა, რომ მას შესასრულებლად დრო პრაქტიკულად არ ჰყოფნის.

კიდევ ერთი საკითხი, რაც ამ კონტექსტში უნდა ვახსენოთ, შემდეგი გახლავთ: სკოლა თავისუფალი უნდა იყოს გავლენის პოლიტიკისგან. გავლენის ჯგუფები ყველა სფეროში არსებობენ: პარლამენტში, მთავრობაში, სხვადასხვა ფედერაციაში, საზოგადოებაში და ა.შ. პირობითად, ვიღაც გავლენიანი პიროვნება მოიწადინებს და ლობისტების მეშვეობით მიაღწევს გადაწყვეტილებას, რომ სკოლებში, ვთქვათ, რაგბის სწავლება დაინერგოს. ასე „შეეძინა“ დროთა განმავლობაში სკოლას რამდენიმე საგანი. მაგალითად, სკოლებში სამოქალაქო განათლების საგნის შემოღებაზე სერიოზული დისკუსია მიმდინარეობდა. ეს საგანი უკვე რამდენიმე წელია, ისწავლება. რა პოზიტივი შეიტანა ბავშვის განათლებასა და აღზრდაში სამოქალაქო განათლებამ?! რა მისცა მოსწავლეს ამ საგანმა იმის ფასი, რაც ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის სწავლებამ ვერ შეძლო?! ჩვენი ისტორია, ლიტერატურა ხომ აღსავსეა ზნეობრივი, მორალური, ცხოვრებისეული მაგალითებით... ამდენად, სასკოლო სასწავლო ბადე სპეციალისტების მიერ ზუსტად უნდა განისაზღვროს; მხოლოდ ისეთი აუცილებელი საგნები უნდა ისწავლებოდეს და ისეთი დატვირთვით, რაც, ერთი მხრივ, მოსწავლეს თავისუფლებას, ბავშვობას არ დაუკარგავს, ხოლო, მეორე მხრივ, საშუალებას მოგვცემს მივიღოთ კრიტიკულად, მაგრამ ჰუმანურად მოაზროვნე, სამშობლოსა და მოყვასის ერთგული მოქალაქე. ზემოთ რომ გავლენის ჯგუფები ვახსენე, სწორედ ასეთი გავლენის პოლიტიკის შედეგი იყო თავის დროზე მანდატურის სამსახური. ეს ინსტიტუტი იმდროინდელი ავტოკრატიული სისტემის პროდუქტი იყო, რომელმაც არსებითად გაანეიტრალა სასწავლო დაწესებულების მთავარი ფიგურის — მასწავლებლის მაორგანიზებელი ფუნქცია სკოლაში!..

მშობლიური ენა მხოლოდ საგანი არ არის

ინტეგრირებულმა სწავლებამ ეს სფეროც დააზარალა. ბოლო ხუთიოდე წელია, რაც საბაზო საფეხურზე გრამატიკისათვის დამოუკიდებელი კვირეული ერთი საათი გამოიყო. მშობლიური ენის პრაქტიკული გრამატიკის კურსი პროგრამულად სწორედ საბაზო საფეხურზე ისწავლება. აუცილებელია, ერთი რამ გავიაზროთ: ეროვნული (სახელმწიფო) ენა სკოლაში მხოლოდ საგანი არ არის. მშობლიური ენის სწავლება ყველა საგნის ტვირთია, რადგან ენა არა მხოლოდ საგანი, არამედ სწავლების ენაა. თუ ჩვენ ენის სწავლების ტვირთს მხოლოდ გრამატიკაზე გადავიტანთ, ხოლო დანარჩენი საგნები მხოლოდ მის დამახინჯებაზე იმუშავებენ, ცხადია, ასე ვერავითარ შედეგს ვერ მივიღებთ. სამწუხაროდ, დღეს საგნების სახელმძღვანელოები ენობრივი თვალსაზრისით ერთობ მოიკოჭლებს, ჯერ ერთი, ბარბარიზმებით, ანუ დაუკანონებელი ტერმინოლოგიით არის გადატვირთული, მეორეც, ხშირად ისეთი გაუმართავი ქართულით არის დაწერილი, სპეციალისტებს ხშირად გვიწევს, „მომხმარებელს“ განვუმარტოთ, თუ რა შინაარსს მოიცავს ესა თუ ის წინადადება.

ალექსანდრე კარტოზიას მინისტრობის დროს ამ საკითხს სწორი მიმართულება ჰქონდა — საგნობრივ სახელმძღვანელოს ენობრივი რედაქტირება უნდა გაევლო. ახლა ასეთი პრაქტიკა აღარ არსებობს...

სკოლაში -ენობრივი განათლების სხვა მხარეს შევეხოთ: ენის სრულფასოვანი სწავლება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მოზარდის ესთეტიკაც და ეთიკაც სწორედ მშობლიური ენის საფუძველზე ყალიბდება. იქ სადაც ენას კარგად არ ეპყრობიან, ურთიერთობების დადებით კონტექსტზე საუბარი ძნელია. ბავშვის მშობლიურ ენაში „ყოფნა“ მისი ქცევების პირდაპირ-პროპორციულია. თუ მოსწავლე უდიერად მეტყველებს, ეს მის ქცევებზეც აისახება.

სამწუხაროდ, ინტერნეტმა ენობრივი გარემო ძალზე დააზიანა. ბავშვები ინტერნეტის მეშვეობით უზარმაზარ ინფორმაციას იღებენ, მაგრამ ეს ინფორმაცია სისტემური არ არის, ცხადია, არც შინაარსობრივი „ფილტრი“ აქვს. სისტემური ცოდნის მიწოდება სკოლამ უნდა შეძლოს, მან უნდა უპასუხოს ამ კონკურენციას, მათ შორის, იმავე ტექნიკური პროგრესის გამოყენებით.

დაბოლოს, ყურადღებას კიდევ ერთ რამეზე გავამახვილებ: თანამედროვე მოზარდები უცნაური, არაქართული ინტონაციით მეტყველებენ; ძალიან შეიცვალა ფრაზის მახვილი, პაუზების განაწილება, მეტყველების რიტმი და ტემპი. ზოგჯერ კარგად უნდა გაიმახვილო ყური (არა სმენადობის გამო), რათა გაიგო, რას ლაპარაკობენ. ამ პრობლემის მოგვარებაში სკოლის როლი ძალიან მნიშვნელოვანია. დღევანდელი ბავშვები ზეპირ კომუნიკაციას ერთობ მოკლებული არიან — ისინი ერთმანეთს კი არ ელაპარაკებიან, არამედ სწერენ (უმესიჯებენ). მნიშვნელოვანია, სკოლამ დაისახოს ამოცანა, რათა ბავშვებს მეტყველება შეუნარჩუნონ და განუვითარონ. ზოგადად, ეს პრობლემა მთელ ჩვენს მედია და სოციალურ გარემოს სერიოზულ კვალს აჩნევს; მათ შორის, იმ თვალსაზრისითაც, რომ ჩვენი ურთიერთგაგების, ურთიერთმოსმენის კულტურის (უკულტურობის) ერთ-ერთი მთავარი საფუძველი სწორედ ენობრივი პრობლემაა. ერთმანეთის აღარ გვესმისო, — ჯერ კიდევ ილია ამახვილებდა ამაზე ყურადღებას, თუმცა ჩვენი წინაპრები კოშმარადაც ვერ წარმოიდგენდნენ, თუ რას დამართებდნენ მათი შთამომავლები დარბაისლურ ქართულს.

მოდაღქცეული ენობრივი წამხედურობა

— უცხო სიტყვების განუკითხავად გამოყენება, ენობრივი „წამხედურობა“, საერთოდ მოდად იქცა. ამგვარი რამ ისტორიულად ყველაზე კრიზისულ ეპოქებს ახასიათებდა. უცხო სიტყვებს ხშირად იმ შემთხვევაშიც იყენებენ, როცა მათი მნიშვნელობა არც კი იციან. ვითომ რაღაც მნიშვნელოვანს ლაპარაკობენ, ამ დროს მათ ნათქვამში აზრიც კი არ ჭაჭანებს. ეს ტენდენცია საზოგადო მიმბაძველობის გამოხატულებაა, რაც ხშირად არამარტო ენობრივ, არამედ ინტელექტუალურ შეჭირვებასაც მოასწავებს. თქვენ წარმოიდგინეთ, თვით რუსული ბარბარიზმების გამოყენება გახშირდა, რაც ასეთი ინტენსიური მაშინაც კი არ იყო, როცა რუსული ენის პირდაპირი გავლენა გვქონდა. ახალგაზრდებმა რუსული არ იციან (ვერც იტანენ), მაგრამ „ვაფშე“ და „კაროჩე“ ისე ხშირია მათ მეტყველებაში, როგორც ჩანს, ესეც ინგლისური ჰგონიათ; მათ შორის, სატელევიზიო შოუებში ისე „გემრიელად“ იყენებენ რუსულ ბარბარიზმებს, გეგონება, თავს იწონებდნენ ამგვარი „ქართულით“. ამ ნაირგვარი ბარბარიზმების გამოყენების უკან დიდი უკულტურობა იმალება და აღშფოთებასაც სამართლიანად იწვევს. მაგრამ ესეც უნდა ითქვას: ლექსიკა დროთა განმავლობაში დაიძლევა ხოლმე, თუ სიკეთე იქნა, ენა „თავსმოხვეულ“ უცხო სიტყვებს თავისთავად გაცხრილავს. მაგრამ როცა ენაში თვისობრივი, სიღრმისეული ცვლილებები ხდება (ფონეტიკა, ინტონაცია...), აქ პრობლემა განუზომლად უფრო ძნელად დასაძლევია. ქართული ენა ისტორიულად ფონეტიკური სრულყოფილების ნიმუშია — როგორც იწერება, ისე წარმოითქმის და — პირიქით. დღეს ჩვენი მეტყველება სერიოზული ცვლილებების საფრთხის წინაშე დგას, რადგან ქართულ ენაში სულ სხვა ინტონაციები, მახვილები და ბგერები გაჩნდა. სახეზეა გარკვეული „გადაწეული“ მეტყველება, რაც ძალზე სახიფათოა. თუ სკოლამ ამ პრობლემას დროულად არ მიხედა, ხვალ შეიძლება, საქმის გამოსასწორებლად უკვე გვიანი იყოს...

თამარ შველიძე
555 23 28 24

შექმნილია საერთო უმაღლესი მმართველი ორგანო — ევროპარლამენტი, რომელიც, ძირითადად, აშშ-ის ემისრებით არის დაკომპლექტებული. ფაქტობრივად, ის არის ამ სუვერენიტეტგაცლილი ყოფილი სახელმწიფოების როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელი. თანამედროვე ევროპის „სახელმწიფოები“ აშშ-ის კოლონიები არიან,

რამდენიმე დღეა, ფრანგები ევროკავშირის დროშებს წვავენ — ნეტავ, რატომ? ვინ ეგულებათ ის ბრიყვი, რომელიც დაიჯერებს, რომ ბებო-პაპათა პენსიების გამო თავდაღმა ამხობენ ახალგაზრდები პარიზს და მაკრონს ექადნებიან, ლუდოვიკოს მოვჭერით თავი, შენ ვიღას დაჰკარგვიხარო?

ამგვარ გაერთიანებებში საერთო ინტერესები ეროვნულ ინტერესებზე მაღლა დგება, რაც სწორედ სუვერენიტეტის შეზღუდვაა როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ სფეროში. ამას კარგად ვხედავთ ევროკავშირის ქვეყნების მაგალითზე, რომლებიც იძულებულნი არიან, თავიანთი ეროვნული ინტერესების კორექტირება მოახდინონ საერთო ინტერესებთან, უფრო ზუსტად კი, მათ ჰეგემონ აშშ-ის ინტერესებთან მიმართებაში. ამჟამად მთელ ევროპაში მხოლოდ უნგრეთი უწევს გარკვეულ წინააღმდეგობას ყველას და ყველაფერს, თუ მისი ქვეყნისთვის რაიმე კუთხით მიუღებელია.

აშშ-ის სრულ დაქვემდებარებაში ევროპის გადასვლა ისე ნარნარად მოხდა 2020 წლის პირველ თებერვალს, რომ ევროკავშირის ქვეყნებს დღემდე ვერ გაუგიათ, რატომ გასხლტა მათგან დიდი ბრიტანეთი, თვითონ კი ჯერ ისევ თავმომწონედ თვლემენ „ფართოდ გახელილი თვალებით“...

„ამ ბორის ჯონსონმა რა თავი გამოიდო“?

ის თავი გამოიდო, რომ აშშ წარმოადგენს დიდი ბრიტანეთის მემკვიდრე იმპერიას მსოფლიო დამპყრობლის ამბიციით. ფაქტობრივად, აშშ და დიდი ბრიტანეთი ერთობლივად წარმართავენ აშშ-ის მიერ წარმოებულ მსოფლიო დაპყრობა-გაერთიანების პოლიტიკურ-ეკონომიკურ პროცესებს, რომელთაც, თავის მხრივ, სიონისტური ჩრდილოვანი მსოფლიო მთავრობა წარმართავს, ამიტომ, ევროკავშირის სრულ დაქვემდებარებაში მოქცევის დაწყებისას, დიდი ბრიტანეთის ევროკავშირში ყოფნა ყოველმხრივ მიზანშეუწონელი იქნებოდა!

ჩვენ სადღა ვართ, როგორ ვართ და რას ვშვრებით ამ დროს?!

სად ვართ, მალევე უნდა გაირკვეს, ხოლო **როგორ ვართ** და, სხვის ტორსზე შეკერილ ვიწრო ბანდაჟში როგორც უნდა ვიყოთ, ისე ვართ: სუვერენიტეტი თუ გვაქვს, საერთოდ, ვერ გაიგებ, ოდნავღა იგრძნობა პულსი — საქართველოს იურისდიქცია ოკუპირებულ ტერიტორიებზე არ ვრცელდება; საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში ცხვირჩაყოფილები არიან და მას მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ „აშშ და მეგობრები“, მათივე ფაშვდაუცხრომელი რაღაც ორგანიზაციები და მნიშვნელობა სულა არ აქვს, რას ეხება საქმე.

რას ვშვრებით? — ამ ეტაპზე ევროკავშირის დროშაზე ვაფანატებთ, ლამის ტანზე შემოვიხვიოთ და ყველა სახლის სახურავზე ავაფრიალოთ... მისი ჩამოგდების გამო ხან ხალხს ვიჭერთ და ხან საქართველოსთვის თავდადებულ გმირთა მემორიალს ვბღალავთ — მეტი რა უნდა ვქნათ?! თუ ღმერთი გაგვიწყრა და შეგვათრიეს იმ თავიანთ კავშირში, ამ მინიმალურ სუვერენიტეტსაც დავკარგავთ, რასაც კბილებით ვინარჩუნებთ და მოგჭამა ჭირი საქართველომ — მეორე დღიდან ოფიციალურად ახალ ქართველებად გავიღვიძებთ.

(პირადად მე, აბსოლუტურად არანაირი ინტერესი არ მაქვს დღევანდელი ევროპის რაღაც კავშირში საქართველოს გაერთიანებისა, რადგან მოვესწარი ნამდვილ, ლაღ, თავისუფალ ევროპას. ამ „წინ ევროპელების“ ამბავი კი ასეა: იმ ქალს ეტრფიან, რომლის ფოტოც ახლახანს ნახეს, მაგრამ ამ ქალმა ის ფოტო 50 წლის წინათ გადაიღო...)

დავით სარაჯიშვილის სიტყვებია, „ქართველი ისე შეეჩვია მონობას, რომ ბატონის გამოცვლა განთავისუფლება ჰგონიაო“. საქმე ის გახლავთ, რომ მხოლოდ მონური ფსიქოლოგიის ადამიანებს ჰგონიათ ბატონის გამოცვლა განთავისუფლება და არა იმ ქართველებს, რომლებიც არცერთი ბატონის მბრძანებლობის დროს არ ყოფილან მონები...

ჯეკ ლონდონის მოთხრობა მახსენდება ხოლმე, „გრინგო“ — იმ გრინგოს მაგონებს საქართველო და იმედს ვიტოვებ, რომ ფინალი ზუსტად ისეთი იქნება, როგორიც იმ მოთხრობაშია...

ნინო დაუშვილი

„კვარა“ ჩემპიონია!

33-წლიანი პაუზის შემდეგ „ნაპოლი“ ჩემპიონია!

ეს „ნაპოლის“ ისტორიაში მესამედ მოხდა. პირველი ორი სკუდეტოს დროს ნეაპოლელთა ლიდერი დიეგო არმანდო მარადონა იყო, ახლა კი „პარტენოპეის“ ლიდერი 22 წლის ქართველი, ჩვენი ხვიჩა კვარაცხელიაა, ჩვენი და ნეაპოლელების „კვარა“. „პარტენოპეიმ“ სტუმრად „უდინეზესთან“ ფრედ 1:1 ითამაშა და ჩემპიონატის დასრულებამდე ხუთი ტურით ადრე, „ნაპოლის“ ისტორიაში მესამედ დაეუფლა ქვეყნის ჩემპიონის ტიტულს. „ნაპოლის“ უახლოეს მადევარ „ლაციოს“ ჩამპიონატის დასრულებამდე ხუთი ტურით ადრე 16 ქულით ჩამორჩება „ნაპოლის“, რაც იმას ნიშნავს, რომ რომაელებს ნეაპოლელების დაწევის თეორიული შანსიც კი არ აქვთ.

„ნაპოლი“ პირველად 1987 წელს გახდა ჩემპიონი, შემდეგ — 1990 წელს და ახლა 2023 წელს;

ეს მეორე შემთხვევაა, როცა ევროპის „ტოპ 5“ ლიგებში ქართველი ფეხბურთელი ჩემპიონი გახდა. პირველად ეს კახა კალაძემ შეძლო მილანის რიგებში 2003-2004 წლების სეზონში, 19 წლის შემდეგ კი სკუდეტო ხვიჩა კვარაცხელიამ მოიგო;

ხვიჩა კვარაცხელიამ ჩემპიონის ტიტული სადებიუტო სეზონში მოიგო „ნაპოლისთან“ ერთად. დიეგო მარადონამ „ნაპოლიში“ პირველი სკუდეტო თავის მე-3 სეზონში მოიგო (ეს მათთვის, ვინც ამ ორ ფეხბურთელს ადარებს).

33-ე ტურში „ნაპოლისთვის“ ერთი ქულაც საკმარისი იყო, რომ სკუდეტო მოეპოვებინა და მატჩის ფრედ დასრულებით ეს შეძლო კიდეც. მატჩის მე-13 წუთზე ლოვრიჩმა გოლი გაიტანა და „უდინეზე“ დაწინაურდა. 52-ე წუთზე კვარაცხელიამ კარში დაარტყა, სილვესტერიმ ბურთი მოიგერია, მაგრამ დამატებაზე ვიქტორ ოსიმენმა ანგარიში გაათანაბრა და მატჩის საბოლოო ანგარიშიც დაფიქსირდა.

მატჩის დასრულების შემდეგ „ნაპოლის“ ფეხბურთელებმა ჩემპიონობა სტადიონზე შევარდნილ გულშემატკივართან ერთად აღნიშნეს. გავრცელდა კადრები, სადაც ჩანს, როგორ ვერ მალავს ემოციებს ჩვენი „კვარა“ — ჩამომჯდარს საქართველოს სახელმწიფო დროშა აქვს შემოხვეული და სახეს მალავს...

მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სპორტული მედიასაშუალება **ESPN**-ის იტალიური ვერსია საქართველოს ნაკრებისა და „ნაპოლის“ ვარსკვლავის, ხვიჩა კვარაცხელიას შესახებ საინტერესო სტატიას აქვეყნებს სათაურით: „იტალიის ჩემპიონი „ნაპოლის“ მთავარი ფიგურა — ხვიჩა კვარაცხელია“.

„ის მარცხნიდან უტყამს და გასაოცარი სიმსუბუქით სჯობნის მცველებს. მას შეუძლია შეიცვალოს ფლანგი, დააბნიოს, ორიენტაცია დააკარგვინოს მეტოქეს და მას ელეგანტური მოძრაობით აჯობოს.

ვინც მის შეჩერებას შეეცდება, არ აქვს მნიშვნელობა, რომელი კლუბის მაისურს ირგებს, იქნება ეს „იუვენტუსი“, „ინტერი“, მილანი“ თუ „ლაციოს“ ფეხბურთელი, მას ყველას წინააღმდეგ შეუძლია თამაში.

ხვიჩა კვარაცხელიას თამაში ჰიპნოზურია. ქართველი ფეხბურთელი, რომელიც 2022 წლამდე სრულიად უცნობი იყო მსოფლიოს ფეხბურთის მოყვარულთა უმეტესობისთვის, იტალიის ჩემპიონის, „ნაპოლის“ სიმბოლოა.

ყოველ ჯერზე, როცა „კვარა“ ბურთს იღებს, გულშემატკივრები თავისდაუნებურად ემოციური შეძახილებით დგებიან ადგილებიდან. 1,83 სიმაღლისა და 68 კგ წონის შემტევი, რომელიც, ჩვეულებრივ, მარცხენა ფლანგზე თამაშობს, შეიძლება უცბად აღმოჩნდეს მარჯვენა ფლანგზეც, ცენტრშიც და იწვევს თავბრუსვევას. ის აკონტროლებს სიტუაციას, ის იღებს გადაწყვეტილებას და ის არაპროგნოზირებადია, შეუძლებელია გამოიცნო, რას აპირებს. მას უყვარს საჯარიმოს გარედან დარტყმა გრძელი დრიბლინგის შემდეგ, მაგრამ ასევე მიდრეკილია საჯარიმოს შიგნით სიტუაციის გამწვავებაზეც.

ლუჩიანო სპალეტის „ნაპოლის“ სანახაობრივ კამპანიას მხარი დაუჭირა რამდენიმე საფეხბურთო საყრდენმა, რომლებმაც ამ სეზონში გუნდს თავიანთი საუკეთესო ვერსია შესთავაზეს, მაგრამ თუ ჩვენ უნდა ავირჩიოთ ის, ვინც განტოლების ამოხსნაში მთავარი როლი შეასრულა, ეს არის ხვიჩა კვარაცხელია. ქართველმა 12 გოლი გაიტანა და 10 საგოლე პასი გააკეთა. მან შესანიშნავი დუეტი შექმნა თავდამსხმელ ვიქტორ ოსიმენთან ერთად, რომელსაც იტალიის ჩემპიონატში ხუთი საგოლე პასი ჩააწოდა.

სერია A-ში გოლების გატანის სხვადასხვა ხერხები მისი მრავალფეროვანი თვისებების კიდევ ერთი მაგალითია. „ვერონასთან“ მან თავური დარტყმით „დააძინა“ დაცვა და გამოიყენა სტეფ კარის მიერ დაპატენტებული „აღნიშვნის მეთოდი“;

„მონცასთან“ დუბლისას, ჯერ თავისი უფრო მეტად გამოცდილი მარჯვენა ფეხით გაიტანა, შემდეგ კი მარცხენა ფეხით შეაგდო;

„ლაციოსთან“ საჯარიმო ცენტრში გამოჩენა და ასე გატანილი გოლი ვნახეთ;

ხანგრძლივი გარბენის შემდეგ, ისევ დაბლა და მარცხენა ფეხით ძელთან ახლოს დარტყმა „ტორინოს“ წინააღმდეგ;

დახვეწილი კონტროლი და ძლიერი დარტმა „სასუოლოსთან“;

ცენტრფორვარდის პოზიციაზე რბილი შეხება „იუვენტუსთან“;

პენალტი „სპეციასა“ და „ტორინოს“ კარში;

მოედნის კიდიდან საჯარიმოში შესვლა და რბილი დარტყმა „კრამონეზესთან“;

და საოცრება ორმაგი ბრუნით „ატალანტას“ კარში — ალბათ, ის, რაც მას ყველაზე მეტად ანიჭებს მეტსახელს „კვარადონა“.

როგორ მოხვდა კვარაცხელია „ნაპოლიში?“

კვარაცხელიას კარიერა სამშობლოში, საქართველოში, თბილისის „დინამოში“ დაიწყო 2017-2018 წლების სეზონში. იქიდან ასევე ქართულ „რუსთავში“ გადავიდა. 2018 წელს **“The Guardian”**-მა ის მსოფლიოს 60 საუკეთესო ტალანტის სიაში შეიყვანა, რაც მის შესაძლებლობებზე პირველი დიდი მაჩვენებელია. შემდეგ ის უცხოეთში წავიდა. 2019 წლის თებერვალში, ივარით მოსკოვის „ლოკომოტივში“ გადავიდა, მაგრამ მისი თამაში საკმარისი არ აღმოჩნდა (7 მატჩში 1 გოლი გაიტანა), რათა კლუბს მისი კონტრაქტის გამოსყიდვა გადაეწყვიტა და ის „რუსთავში“ დაბრუნდა. „ლოკომოტივის“ მაშინდელმა მწვრთნელმა, იური სიომინმა თქვა: „ასეთი უაღრესად ნიჭიერი ბიჭის დაკარგვამ ცრემლები მომგვარა“. ამის შემდეგ კვარაცხელიას დამატებით ყაზანის „რუბინი“ დაინტერესდა. მან სამი სეზონი გაატარა რუსეთის პრემიერლიგაში და თავის ძლიერი მხარეები წარმოაჩინა. რუსეთ-უკრაინის ომმა საერთაშორისო მოთამაშეებს კარი გაუღო რუსულ გუნდებთან კონტრაქტის გაწყვეტისთვის და კვარაცხელიაც საქართველოში დაბრუნდა, რათა 2021-2022 წლების სეზონი დაესრულებინა ბათუმის „დინამოში“.

კვარაცხელიას ყოფნამ რევოლუცია მოახდინა ბათუმში. გულშემატკივრებმა 20 000 კაცზე გათვლილი არენის შევსება დაიწყეს. მის მიერ ჩატარებული 11 თამაშიდან თითოეული თამაში ზეიმი იყო. სტადიონები ივსებოდა როგორც ადგილობრივი, ასევე სტუმარი გულშემატკივრებით — ტურისტებმა მოგზაურობის მარშრუტებში ფეხბურთის მატჩები შეიტანეს, რათა მისი თამაში ენახათ. ყოველ ჯერზე, როდესაც „კვარა“ ბურთს ეხებოდა, ტრიბუნები გამამხნევებელ ხმაურს იწყებდნენ. მან 8 გოლი გაიტანა, ენერგიით დაიმუხტა და მზად იყო უფრო მაღალ ლიგაში ნახტომისთვის.

„ნაპოლიმ“, რომელიც წინა წლებში კვარაცხელიას თვალს ადევნებდა, 2022 წლის ივლისში მის ტრანსფერში 11,5 მლნ ევრო გადაიხადა და 2027 წლის ივნისამდე გაუფორმა კონტრაქტი. ქართველზე ფსონი გრძელვადიანი იყო, მაგრამ შესრულება მყისიერი აღმოჩნდა.

კვარაცხელია ნიჭით, ფიზიკური მონაცემებით და თამაშის სტილით დიეგო მარადონას არ ჰგავს. „კვარას“ სიმაღლე მას აახლოებს კრიშტიანუ რონალდუსთან, მისი ესთეტიკა — ჯეკ გრილიშთან, მანევრირება — ფრენკ რიბერისთან და მას აქვს ისეთი იშვიათი და ეფექტური დარტყმის ტექნი-

კა, რაც მას უნიკალურს ხდის. „კვარა“ არის ფეხბურთელი, რომელიც თამაშობს მსუბუქად, თამაშისას პასუხისმგებლობებისგან თავისუფლდება და ეს მას კიდევ უფრო საშიშს ხდის.

ის, რაც „კვარას“ და მარადონას აკავშირებს, არის მაგნიტიზმი თანამემამულეებთან. ყველა ქართველი „ნაპოლის“ გულშემატკივარი გახდა. ყველა წყვეტს საქმიანობას, რათა დასხდნენ ეკრანებთან და ნახონ ეროვნული კერპის გუნდის თამაში, „მე მსგავსი არაფერი მახსოვს“, — განაცხადა ლევან კობიაშვილმა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა და ქვეყნის ისტორიაში ერთ-ერთმა ყველაზე საკულტო მოთამაშემ.

ნეაპოლელებისა და ქართველებისთვის საყვარელი ხვიჩა კვარაცხელია „ნაპოლის“ დაუვიწყარი დიდი ფიგურაა,“ — წერს ESPN-ი.

სერია A-ს მოგების შემდეგ, იტალიის ეროვნული ნაკრებისა და „ნაპოლის“ კაპიტანმა ჯოვანი დი ლორენცომ ჟურნალისტებთან „კვარას“ შესახებ ისაუბრა: „კვარა?“ „ნაპოლიში“ ჩამოსვლა და სკუდეტოს დაუყოვნებლივ მოგება წარმოუდგენელი შედეგი და

ფაქტია. ის ჩუმი ბიჭია, რომელიც მოედანზე ფეთქდება და თავს სწორედ იქ გრძნობს საუკეთესოდ. მან ბევრ მატჩში შეაბრუნა ჩვენი შედეგები უარყოფითიდან დადებითისკენ. ჩვენს წლევანდელ წარმატებაში მას ერთ-ერთი ყველაზე დიდი წვლილი მიუძღვის.

„იუვენტუსთან“ მოგებული თამაშის (5:1) შემდეგ, ჩვენი თავის უფრო ძლიერად ვიწამეთ და ვირწმუნეთ, რომ სერია A-ს ტრიუმფთან ძალიან ახლოს ვიყავით. სწორედ „იუვესთან“ მატჩის შემდეგ დავრწმუნდით, თუ რამხელა ძალა აქვთ „კვარასა“ და სპალეტის...“

ლუჩანო სპალეტი: „კვარაცხელია ეშხიანი, შესანიშნავი, გემრიელი მოთამაშეა, რომელიც, ასაკის მიუხედავად, ტოპფეხბურთელია. ის კიდევ დაიხვეწება და გახდება მომაკვდინებელი სუპერფეხბურთელი!“

ხვიჩა კვარაცხელიამ „ნაპოლის“ შემადგენლობაში 38 შეხვედრა ჩაატარა, 14 გოლი გაიტანა და 14 საგოლე პასი გააკეთა.

„**საერთო გაზეთი**“ ჩემპიონობას ულოცავს ხვიჩას და წარმატებებს უსურვებს მას!

დაუვიწყარი 1981 წლის 13 მაისი

არის თარიღები, რომლებიც სამუდამოდ რჩება ადამიანების მეხსიერებაში, უპირველესად, სასიამოვნო მოვლენები. ქართული სპორტის ისტორიაში ბევრი მნიშვნელოვანი თარიღია, მაგრამ 1981 წლის 13 მაისს განსაკუთრებული ადგილი უკავია, როდესაც თბილისის „დინამომ“ ევროპის თასების მფლობელთა თასი დაისაკუთრა. გვახსოვს, თამაშის დასრულების შემდეგ, წინასწარი შეთანხმების გარეშე თბილისის ქუჩებში მოსახლეობა გამოვიდა საზეიმოდ. უმრავლესობა „დინამოს“ სტადიონს მიადგა. ობიექტის ადმინისტრაციამ მოსახლეობას ყველაკარი გაუხსნა და განათებაც ჩართეს. ზეიმობდა გამარჯვებას თბილისი სტადიონზე, ყოველგვარი ზედმეტი ემოციების გარეშე. ზეიმობდნენ ისინიც, ვინც სპორტთან შორს იყო. ფინალური სასტვენის შემდეგ აკი თქვა კიდეც სახელოვანმა კოტე მახარაძემ, რომელსაც გერმანიის ქალაქ დიუსელდორფიდან მიჰყავდა რეპორტაჟი: „...წარმომიდგენია, რა ხდება ახლა საქართველოს დედაქალაქში, ლხენაა თბილისში“. საბჭოთა პერიოდში ამის თქმას სითამამე, გამბედაობა სჭირდებოდა, რადგან რისკის შემცველი იყო. დიახ, ზეიმობდა თბილისი და სრულიად საქართველო.

ევროტურნირებში თბილისის „დინამო“ 1972 წლიდან ასპარეზობდა, იყო როგორც გამარჯვებები, ასევე, გულდასწაყვეტი დამარცხებებიც. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო 1979 წელს თბილისში ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი ინგლისური კლუბის, „ლივერპულის“ დიდი ანგარიშით — 3:0 დამარცხება ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში... „დინამოს“ დამარცხებები საერთაშორისო არენაზე ხშირად გამოწვეული იყო გამოუცდელობით, ფსიქოლოგიური მოუმზადებლობით. ნაკლოვანების აღმოფხვრას დრო, სათანადო მუშაობა სჭირდებოდა. მწვრთნელებმა მისია წარმატებით შეასრულეს.

მართალია, ფინალური შეხვედრა იენის (იმდროინდელი აღმოსავლეთ გერმანია, გდრ) „კარლ ცეისთან“ 13 მაისს გაიმართა, მაგრამ მეოხთედ და ნახევარფინალებში რთული მატჩების ჩატარებამ მოუწია თბილისურ გუნდს. დღეს, რატომღაც, ნაკლებად იხსენებენ (შესაძლოა, ბევრს აღარ ახსოვს) ლონდონში, ადგილობრივ „ვესტ ჰემ იუნაიტედთან“ გამართული შეხვედრა. ბრიტანული კლუბები იმ პერიოდში უხერხულ მეტოქეებად მიიჩნეოდნენ ჩვენი გუნდისთვის. გულშემატკივრები რთულ, დაძაბულ მატჩს ელოდებოდნენ, მაგრამ პროგნოზებს ყველაზე ოპტიმისტებიც კი ერიდებოდნენ. თამაშის შემდეგ ინგლისელები გაოგნებულები დარჩნენ არამარტო შედეგით („დინამომ“ ლონდონში 4:1 მოიგო), არამედ ქართველი ფეხბურთელების თამაშის დონითაც. განსაკუთრებით გამოყოფდნენ დავით ყიფიანის თამაშს. „...თბილისელთა მე-10 ნომერი ისე დააბიჯებდა „აპტონ პარკის“ მოედანზე, როგორც სკოლის დირექტორი თავისი სკოლის ეზოში“, — წერდა ერთ-ერთი ინგლისური გაზეთი, რაც ჩვენი ფეხბურთელების აღიარებას ნიშნავდა. შეგახსენებთ, „დინამომ“ პირველივე ტაიმში მოათავა საქმე — ჯერ ალექსანდრე ჩივაძემ შესანიშნავი დარტყმით გახსნა ანგარიში, ხუთ წუთში კი ვლადიმერ გუცაევმა ორამდე გაზარდა სხვაობა. მეორე ტაიმში მასპინძლებმა შეძლეს ერთი ბურთის გაქვითვა, თამაშიც გადარჩენის იმედიც გაუჩნდათ, მაგრამ ერთ წუთში რამაზ შენგელიამ მესამე გოლი გაიტანა, რომელსაც 10 წუთის შემდეგ მეოთხეც მიაყოლა.

არანაკლებ დრამატული ორი მატჩი მოელოდა „დინამოს“ ნახევარფინალში. როტერდამის „ფეინოორდი“ თბილისში წარმატების იმედით ჩამოვიდა, ფინალში საგზურისთვის მინიმალური ანგარიშით დამარცხება აწყობდათ, უკეთეს შემთხვევაში, ფრეზეც თანახმა იყვნენ, მაგრამ ჩვენი ფეხბურთელები ასე არ ფიქრობდნენ. თენგიზ სულაქველიძემ (ორჯერ) და ვლადიმერ გუცაევმა გატანილი ბურთებით საპასუხო მატჩში წარმატების პერსპექტივა შექმნეს.

ჯერ კიდევ თბილისში იგრძნობოდა, რომ როტერდამში იოლი თამაში არ ექნებოდა „დინამოს“. ჰოლანდიელები ღიად აცხადებდნენ, რომ წარმატების მისაღწევად ყველაფერს გააკეთებდნენ. თამაშის დაწყებისთანავე ნათლად გამოჩნდა, რომ მხოლოდ სპორტული ორთაბრძოლის იმედად როდი იყვნენ, ავსტრიელი მსაჯი ბიორერი მათ მიმართ, რბილად რომ ვთქვათ, სიმპათიით იყო განწყობილი. თამაშის დეტალურად განხილვა 42 წლის შემდეგ არ ღირს, ერთს კი ვიტყვი: მსგავსი მიკერძოებული, ბინძური მსაჯობა ფეხბურთის ისტორიაში იშვიათად თუ ყოფილა. დავით ყიფიანი დიდხანს იშუშებდა მცველების მიერ მიყენებულ ტრავმებს, ნებისმიერ უხეშობაზე მსაჯი თვალს ხუჭავდა. არბიტრმა ჩვენების მიერ გატანილი ორი ნაღდი გოლი არ ჩათვალა, არ დანიშნა ორი აშკარა პენალტი. ქართველ ფეხბურთელებს წარბი არ შეუხრიათ, თამაში სასურველი შედეგით დაასრულეს და ფინალის საგზურიც მოიპოვეს. დიახ, „ფეინოორდთან“ თამაში ფინალის ტოლფასი გამოდგა.

დასავლეთ გერმანიაში (გფრ) დიუსელდორფში საქართველოდან საკმაოდ მცირერიცხოვანი დელეგაცია გაემგზავრა (30 ადამიანი). წამსვლელთა სიაში პროფესიონალი ფოტოჟურნალისტის ადგილიც არ გამოიძებნა. თამაშს მხოლოდ 9 ათასი მაყურებელი დაესწრო, რასაც გერმანელი ჟურნალისტები გულდაწყვეტით აღნიშნავდნენ მატჩის შემდეგ. პირველი გოლო „კარლ ცეისმა“ გაიტანა, მაგრამ ოთხი წუთის შემდეგ გუცაევმა გაქვითა, ხოლო თამაშის მიწურულს ვიტალი დარასელიამ უბრწყინვალესი „ოქროს გოლის“ წყალობით, ევროპის თასების თასი „დინამოს“ საკუთრება გახდა.

...წლებია, ველოდებით ქართული ფეხბურთის აღორძინებას, საერთაშორისო არენაზე წარმატებებს. მართალია, თბილისის მერი კახა კალაძე ჩემპიონთა თასის მფლობელია, რომელიც იტალიის „მილანის“ შემადგენლობაში მოიპოვა. იტალიის ჩემპიონი გახდა სულ ახლახან ხვიჩა კვარაცხელია, მაგრამ ქართველი გულშემატკივარი ჩვენი გუნდების, ჩვენი ნაკრების წარმატების მოლოდინშია.

დღეს კი, ორმოც წელზე მეტი ხნის გასვლის შემდეგ, 1981 წელს მოპოვებული ევროპის თასი ქართული ფეხბურთის, სპორტის ისტორიაში გაუხუნარ ფურცლად რჩება...

გია ბურდული
551 71 27 07

იგორ კვესელავა: რუსეთის ომის დაწყება რომ არ დაესწრო, ამას უკრაინა გააკეთებდა

— ბატონო იგორ, კრემლზე დრონით თავდასხმა მოხდა. პესკოვმა განაცხადა, რომ ამის უკან აშშ დგას. საინტერესო იყო ამერიკაში რუსეთის ელჩის განცხადებაც, რუსეთი უპასუხებს კრემლზე უკრაინის თავდასხმას, როცა საჭიროდ ჩათვლისო...

— პირადად მე, დარწმუნებული არ ვარ, რომ ეს ამერიკამ გააკეთა. მოდი, საინტერესო ფაქტები გავიხსენოთ: გორბაჩოვის პრეზიდენტობის პერიოდში 1987 წლის 28 მაისს — საზღვრის დაცვის დღეს, ახალგაზრდა გერმანელი მოყვარული მფრინავი, 18 წლის მათიას რუსტი ვერტმფრენით წითელ მოედანზე დაეშვა, რაც საბჭოთა სისტემისთვის სილის გაწვნის ტოლფასი იყო. ეს შეფასდა, როგორც პოლიტიკური აქტი. მაშინ ითქვა, რომ ეს თავად რუსეთმა განახორციელა. საქმე ისაა, რომ რუსეთის მაშინდელი თავდაცვის მინისტრი ამერიკულ პოლიტიკას მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა. წარმოიდგინეთ, მათიას რუსტმა დაფარა მანძილი საბჭოთა საზღვრიდან ქვეყნის დედაქალაქამდე. მან ასობით კილომეტრზე იფრინა. ამას თავდაცვის მინისტრის გათავისუფლება მოჰყვა. ანუ, გორბაჩოვისთვის, შევარდნაძისთვის, ასევე, ამერიკისთვისაც, არასასურველი პიროვნების გათავისუფლება ხელსაყრელი იყო. მოდი, კიდევ უფრო უკან დავიხიოთ. ასეთ ფაქტს სტალინის დროს, ომის დაწყების წინაც ჰქონდა ადგილი: მოსკოვთან ახლოს სამხედრო აეროდრომი არსებობდა, სადაც სტალინის გამგზავრების წინ უცხოური თვითმფრინავი დაეშვა. საინტერესოა, რატომ? — იმ პერიოდში, ომის დაწყებამდე, სტალინს არმიაში ისეთი ადამიანებიც ჰყავდა, რომლებიც მის კურსს ეწინააღმდეგებოდნენ. ამ მოვლენის შემდგომ სტალინმა არმიაში წმენდა ჩაატარა. მესამე შემთხვევა კი განხორციელდა ახლა, პუტინის მმართველობის დროს. ვფიქრობ, ამჯერადაც ეს რუსების მიერ დადგმული, განხორციელებული სცენარია.

— რისთვის დასჭირდა პუტინს კრემლზე დრონით თავდასხმა?

— კარგი კითხვაა. პუტინს ეს ისევე სჭირდებოდა, როგორც მაშინ სტალინსა და გორბაჩოვს. ამ აქტით პუტინის გზა ეხსნება მსგავსი ოპერაციები უკრაინის წინააღმდეგ განახორციელოს. თუნდაც იმ შენობის მიმართულებით, სადაც ზელენსკი იმყოფება. დღეს საუბარია ზელენსკის ფიზიკურ განადგურებაზეც. მედვედევმა კიდეც განაცხადა: დრო მოვიდა, ზელენსკის ლიკვიდაცია მოხდესო. ეს საინტერესო მომენტია. როგორ წარმოგიდგენიათ, დრონს 500 კილომეტრი ისე გამოევლო, ვერავის შეემჩნია. მიუხედავად იმისა, რომ დრონი დაბლა დაფრინავს, რუსეთი მფრინავ ობიექტებს ყოველთვის აკვირდება. ამისთვის სპეციალური ჯარის ნაწილები არსებობს. ამერიკელებმა ბრალდება უარყვეს. თუ ეს უკრაინამ გააკეთა, მაშინ დრონი ბრიანსკიდან უნდა შემოსულიყო. ჩემი აზრით, ეს თავად რუსეთს სჭირდებოდა, რათა გაამართლოს ის მოქმედებები, რასაც სამომავლოდ განახორციელებს.

— აშშ-ის დაზვერვამ განაცხადა: პუტინი შეეგუა იმას, რომ უკრაინის უფრო მეტი ტერიტორიის დაპყრობას ვერ შეძლებს. აქვე საინტერესოა პრიგოჟინის განცხადებაც, რომელიც 10 მაისს ბახმუტში ფრონტის ხაზის დატოვებას აპირებს.

— საქმე ისაა, რომ ამერიკელების, ევროპელების მიერ მოწოდებული ინფორმაციები, ყველაფერი დასაჯერებელი არ არის. ისევე, როგორც რუსების. ეს საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომის ნაწილია, რომელშიც უკრაინელებიც არიან ჩაბმულნი. პრიგოჟინის აღნიშნული განცხადება მოსმენილი გაქვთ? წარმოუდგენელია, პრიგოჟინმა სახალხოდ ასეთი განცხადებები გააკეთოს. ეს, უბრალოდ, რაღაცისთვის დასჭირდათ. ეს ფსიქოლოგიური ომია. ვფიქრობ, რეალურ შეტევებსაც უნდა ველოდოთ. თუმცა, რამდენად არის უკრაინა ამისთვის მზად, სხვა საკითხია. რუსეთი დაკავებულ ტერიტორიებს თუ შეინარჩუნებს, ამ პირობით მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდება, თუმცა უკრაინას ურჩევენ, რომ მოლაპარაკებაზე არ წავიდეს. უკრაინის ხელისუფლებასა და სამხედრო ძალებში გამოჩდნენ ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ომი მოლაპარაკების გზით უნდა დამთავრდეს. თუმცა, როგორც ამერიკელები გვეუბნებიან: ომი არც ამ და არც 2024 წელს არ დამთავრდება. მისი დასრულების თარიღად 2025 წელს ასახელებენ. მინდა გითხრათ, რომ რუსეთის დამარცხება ასე მარტივი არ არის. ვინც მის დაშლაზე, დამარცხებაზე საუბრობს, იგი რუსეთის ისტორიას, მის ბრძოლისუნარიანობას, ტაქტიკას ნაკლებად იცნობს. რუსეთი სხვისი ხელით აკეთებს იმას, რაც თავად სურს. რუსეთის ხელისუფლებაში პუტინის გარდა, სხვა ძალას, რომელიც ომს დაამთავრებს, ვერ ვხედავ. ომი ორივე მხარის დათმობის გარეშე არ დამთავრდება. უკრაინის სახელმწიფო, ფაქტობრივად, ჩამოშლილია. მისი კულტურულ-ეკონომიკური საქმიანობა მკვეთრად შენელებულია, მილიონობით უკრაინელი ქვეყნიდან გასულია. რა თქმა უნდა, რუსეთს უკრაინის აღება მარტივად შეეძლო, მაგრამ ამ ომს წინ უსწრებდა აშშ-ის მიერ უკრაინის სამხედრო ძალების საიდუმლოდ მომარაგება. ასევე, წვრთნიდნენ უკრაინის ოფიცრებს, ინსტრუქტორებს. ამის შესახებ რუსეთის დაზვერვამ შესანიშნავად იცოდა. ვფიქრობ, რუსეთს უკრაინელების მიმართულებით შეტევა რომც არ დაეწყო, ამას თავად უკრაინა გააკეთებდა, რადგან მისთვის ტერიტორიები მნიშვნელოვანია. დონეცკის და ლუგანსკის ოლქებთან ერთად, მთავარი მაინც ყირიმის საკითხია, რომელიც საუკუნეების განმავლობაში სხვა სახელმწიფოების კუთვნილება იყო — ჯერ ბერძნების, მერე თურქების. ბრიტანელებთან და ფრანგებთან სისხლისღვრელ ომში კი რუსებმა ყირიმი დაიმორჩილეს და თავიანთ შემადგენლობაში შეიყვანეს. მერე, ხრუშჩოვის პერიოდში, ფაქტობრივად, ტერიტორიების გაცვლა მოხდა. რუსეთმა 1954 წელს უკრაინას გარკვეული ტერიტორიები აჩუქა. ადრე უკრაინა სახელმწიფო არც იყო, ის რუსეთის შემადგენლობაში შედიოდა. საქმე ისაა, რომ მაშინ, საბჭოთა კავშირის დროს, არავითარი საზღვრები არ არსებობდა და ტერიტორიების საკითხიც ასე მტკივნეულად არ იდგა. ერთი საშობლო ჰქონდათ, რომლის დედაქალაქი მოსკოვი იყო.

მაშინ საქართველოს ტერიტორებიც გასხვისდა — ზოგი თურქეთის განკარგულებაშია, ზოგი აზერბაიჯანის, ზოგიც სომხეთის. ახლა კი ბრძოლა ერთი გოჯი მიწისთვის მიმდინარეობს. რუსეთი ისე ვერ დამარცხდება, რომ ამ ომიდან რაღაც სარგებელი არ მიიღოს. უკრაინამაც რაღაც უნდა მიიღოს. ეს ამ ორი ქვეყნის და საერთაშორისო პარტნიორების გადასაწყვეტია. ალბათ, ეს საკითხი, ჩინეთის, ამერიკის, ევროპის ჩარევით გადაწყდება.

ერთი მხრივ, ეს ომი უკვე საქილიკოც გახდა. მაგალითად, საქართველო-უკრაინის ურთიერთობა ამ ომმა გაამწვავა. ფაქტობრივად, დღეს საქართველო-უკრაინის ხელისუფლებებს შორის ურთიერთობა არ არსებობს. დიპლომატიური ურთიერთობები, ჯერჯერობით, გვაქვს მაგრამ სახელმწიფოთა შორის მეგობრობა გამორიცხულია. პირიქით, ძალიან დაძაბული ვითარებაა, რაც სწორედ რუსეთ-უკრაინის ომის შედეგია.

— როგორ ფიქრობთ, ამ ომმა რუსეთი გააძლიერა თუ პირიქით, დაასუსტა. რა შეიცვალა საქართველოსთან ურთიერთობის კუთხით?

— ამ ომს, თავის მხრივ, ცვლილებები მოჰყვა. ეკონომიკური თვალსაზრისით, რუსეთმა აღმოსავლეთსა და აზიაში გადაინაცვლა. რაც შეეხება საქართველოს, ჩვენ რუსეთთან მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობა გვაკავშირებს. იქიდან შემოსული საქონელი, სავაჭრო ეკონომიკური ბრუნვა რომ არა, საქართველო უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდება. ჩვენ დამოკიდებული ვართ როგორც ევროპაზე, ამერიკაზე, ისე რუსეთზეც. მეტიც, არამარტო დამოკიდებული, არამედ ჩამოკიდებულიც ვართ. სხვა გზა არ გვაქვს. ამიტომ ხელისუფლებამ ამ მიმართულებით მოქმედება უნდა დაიწყოს.

საქართველო პატარა ქვეყანაა, ამიტომ ჩვენი მთავარი გზა ბალანსირება, დიპლომატიაა და არა ხელში იარაღის აღება. დააკვირდით, რა ხდება: ორი თვე ნატო სერიოზულ წვრთნებს ატარებს, რაშიც საქართველო არ მონაწილეობს. ეს ნიშნავს, რომ ნატოს კი არ ვუახლოვდებით, არამედ ვშორდებით. არადა, კონსტიტუციაში ჩავწერეთ, რომ თურმე სამხედრო ბლოკში შესვლა ჩვენი ოცნება და მიზანია. ეს აბსოლუტურ სიბეცედ მიმაჩნია. ასეთი რამ ყოვლად გაუმართლებელია. ნატო მიზანი ან თვითმიზანი კი არ უნდა იყოს, არამედ მიზნის მიღწევის საშუალება. ანუ, თუ მისი წევრი გავხდებით, ჩვენ საფრთხე აღარ დაგვემუქრება. მაგრამ ომი თუ დაიწყო, მაშინ არავითარი ბლოკი აღარ იარსებებს, ყველა საკუთარ თავს დაიცავს. საქართველო ასეთ შემთხვევაში ძალიან დაზარალდება. რუსეთმა შემთხვევით თუ არაშემთხვევით, ნებსით თუ უნებლიედ, ზაპოროჟიეს ელექტროსადგურს რომ დაარტყას, მთელი დასავლეთ საქართველო საშინელ მდგომარეობაში აღმოჩნდება. ეს ჩვენთვის მნიშვნელოვანი საკითხებია. უკრაინა ჩვენი მეზობელია. ქართულმა პოლიტიკამ, საზოგადოებამ გარკვეული დასკვნები უნდა გააკეთოს. უკრაინის მარცხი ჩვენთვის საზიანო იქნება.

დააკვირდით, რა ხდება — როცა უკრაინაში ომი დაიწყო, უცებ, გაგვახსენდა, რომ რუსეთი ოკუპანტია. ამაზე საუბარი განვრცობადი გახდა. მას ხომ ჩვენი ტერიტორიებიც ოკუპირებული აქვს?! სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი დავივიწყეთ?! აფხაზეთის საკითხი პოლიტიკურ, დიპლომატიურ დღის წესრიგში აღარ დგას. არც მოლაპარაკებების, დიალოგის დაწყებაზე საუბრობს ვინმე. მთავარი ქმედითი ნაბიჯების გადადგმაა, რათა დაკარგული ტერიტორიები დავიბრუნოთ. თორემ, უკრაინა საკუთარ თავს როგორმე მოუვლის. ამერიკა და რუსეთი გადაწყვეტილების მიღებას უჩვენოდაც შეძლებენ. ვიფიქროთ იმაზე: ჩვენ რა, ამით? ჩვენ რა პოზიციაზე ვდგავართ, საით მივდივართ, ვინ არის ჩვენი დასაყრდენი? ისტორიულად ასე იყო: ჩვენს ბედს ხან ირანში წყვეტდნენ, ხან ბიზანტიაში, ხან ოსმალეთში, ხან რუსეთში, გერმანიამ, საერთოდ, დამოუკიდებლობისკენ გვიბიძგა. აბსოლუტური დამოუკიდებლობა არ არსებობს. ანუ, ახლა სად წავიდეთ? რუსეთის ლანძღვა გავაგრძელოთ? ევროპასთან რომ მივიდეთ, თავად ევროპა მოდის ჩვენთან?!

ჩვენ განვითარებადი ქვეყანა ვართ. დემოკრატია იდეალური არსად არის. ყველას თავისი დემოკრატია აქვს. ჩერჩილი ამბობდა: დემოკრატია კარგი კი არ არის, მაგრამ უკეთესი არ გვაქვსო. ეს არის არჩევანი ცუდსა და უარესს შორის.

საზოგადოებაში არსებულ ნიჰილიზმზეც მინდა ორიოდ სიტყვით მოგახსენოთ. თავის დროზე „მსოფლიო ბანკს“ და „სავალუტო ფონდს“ მიგვაბეს. მათი რეკომენდაციები, ხშირ შემთხვევაში, საქართველოსთვის საზიანო იყო. ქვეყნიდან ხე-ტყის, ფერადი ლითონების გაზიდვა მოხდა. შევარდნაძის დროს საგარეო ვალმა 2 მილიარდს მიაღწია. ქვეყანაში ეკონომიკა შემცირდა და სექსის, ძალადობის, სადიზმის კულტი დამკვიდრდა. ეროვნული ცნობიერება გაიბზარა და უზნეობამ დაისადგურა. ამ ყველაფერმა დაბადა ნიჰილიზმი. ეს კი უკან მიგვაქვანებს, რითაც სარგებლობს ბევრი ქვეყანა, მათ შორის ამერიკა, რუსეთი. კომერციამ, პრესამ, ტელევიზიამ უტილიტარული ინტერესები დაიქვემდებარა. მადლობა ღმერთს, „საერთო გაზეთი“ ამ ყველაფრისგან შორს დგას. ეს გაზეთი ყველასთვის ჭკუის სასწავლებელია. თქვენ ერთადერთი პერიოდული გამოცემა ხართ, სადაც ჯანსაღი აზრი, ანალიზი ვრცლად იბეჭდება. „საერთო გაზეთი“ ყველასგან განსხვავებული, კითხვადი და გამორჩეულად საინტერესოა. ვიცი, რომ მასზე რეგიონებშიც დიდი მოთხოვნილებაა, ხელიდან ხელში გადადის. ამას ის განაპირობებს, რომ თქვენთვის ქართველი ხალხია მთავარი. ეს ეროვნული, პატრიოტული გაზეთი ქართველი ხალხისთვის მისაღები გამოცემაა. დიდი მადლობა ამ დაუღალავი შრომისთვის ქალბატონ თამარს, ქალბატონ გვანცას, მთელ კოლექტივს.

თამარ შველიძე
555 23 28 24

გეოპოლიტიკურმა ვითარებამ საქართველოს როლი ევროპისთვის მნიშვნელოვნად გაზარდა

ვაგრძელებთ საუბარს „სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრის“ ხელმძღვანელთან, ლევან მამალაძესთან:

საქართველო ევროპაში, წელგამართული შევა

მსოფლიო კონგრესის სათავეში, რომელიც ბუდაპეშტში იმართება, ცნობილი ამერიკელი კონსერვატორები, თანამდებობის პირები, ყოფილი ხელმძღვანელები დგანან. ფორუმი შეგნებულად ტარდება ევროპაში, უნგრეთში, ანუ, იმ ქვეყანაში, რომელმაც მყარად დაიცვა ის კონსერვატორული საფუძვლები, რაზეც დღევანდელი დასავლური ცივილური სამყარო დგას. ესაა ოჯახი, იდენტობა, რელიგიის მიმართ პატივისცემა და ა.შ.

რატომ მახვილდება ამაზე განსაკუთრებული ყურადღება: ძალიან დიდი ნეოლიბერალური ტალღა წამოვიდა, რომელმაც ზემოხსენებული საფუძვლები მოარღვია და კონტინენტებს, ქვეყნებს პრობლემები შეუქმნა. ამის საპირწონედ დაიწყო ახალი ტალღა, რომელიც იმ საფუძვლებს იცავს, რასაც დღევანდელი ცივილიზაცია ეყრდნობა.

საქართველო როგორც მართლმადიდებლური ქრისტიანული ქვეყანა, ამ თვალსაზრისით გამორჩეულია. ამიტომ ხაზგასმით ვამბობ, ჩვენი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, მსოფლიოს უნდა დავანახვოთ, რომ ჩვენ პატივს ვცემთ უმცირესობების უფლებებსაც, სექსუალურ თავისუფლებასაც, ლგბტ-ს უფლებებსაც და ა.შ., ოღონდ ეს ჩვენი ეროვნული ინტერესების, რელიგიისა და ისტორიული საფუძვლების დაზიანების ხარჯზე არ უნდა ხდებოდეს. ნეოლიბერალურ ტალღას ჩვენ ვერ ავყვებით. ჩვენი სახელმწიფო ინტერესები ათასწლეულების განმავლობაში არ შეცვლილა და ახლაც ასე გაგრძელდება. აი, სწორედ ეს დაპირისპირება დაგვანახვა ამ კონგრესმაც. პრემიერ-მინისტრმა უნგრეთის კონფერენციაზე ძალიან მკაფიოდ დააფიქსირა, რომ მთავარი — მამაული, ენა, სარწმუნოებაა. მან შესანიშნავად წარმოაჩინა საქართველოს როლი. ნამდვილად, საქართველოს როლი ამ ყველაფერში, განუზომელია. ჯერ კიდევ მე-11 ს-ის ბოლოს და მე-12 საუკუნის დასაწყისში, დავით აღმაშენებელმა ძლიერი, გავლენიანი სახელმწიფოს მშენებლობა დაიწყო. ფაქტობრივად, მან ქვეყანა და შემდგომ თბილისიც, დიდი თურქობისგან გაათავისუფლა. და ეს მაშინ, როცა ჯვაროსნული მოძრაობა ბიზანტიის და იგივე, დღევანდელი ისრაელისა და პალესტინის ტერიტორიაზე, დიდ სამხედრო კამპანიებს აწარმოებდა. ფაქტობრივად, იერუსალიმში შესვლის მთავარი იდეა მათი იყო, სადაც ახალი ქრისტიანული სახელმწიფო ჩამოაყალიბეს. დიდი ბრძოლები იმართებოდა. ამ თვალსაზრისით, საქართველო, როგორც სრულიად ახალი ქვეყანა, მაგალითი, ისე წარმოჩინდა. ახლაც იგივე სიტუაციაა, უბრალოდ, მოთამაშეები შეიცვალნენ. საქართველოს დღესაც შეუძლია, აღმოსავლეთ ევროპის განაპირას, მთელ მსოფლიოს მაგალითი უჩვენოს. ორბანმა, ამერიკელმა კონსერვატორებმა სწორედ ეს დაინახეს, შეამჩნიეს. ამას, შესაძლოა, პირდაპირი მნიშვნელობით პოლიტიკური დატვირთვა არ ჰქონდეს, მაგრამ გლობალური თვალსაზრისით, მათ სურთ, ჩვენს ხარჯზე ახალი მიდგომები დანერგონ, რაც ჩვენ უკვე გაგვაჩნია — იდენტობა, ეროვნულობა, რელიგიის, ისტორიის მიმართ პატივისცემა. **ამიტომ ბუდაპეშტის ფორუმი გლობალური ბრძოლის ერთ-ერთი ესტაფეტა და მაგალითია.** პრემიერმა ღარიბაშვილმა მართლაც ისტორიული სიტყვა წარმოთქვა. აღსანიშნავია, რომ ჩვენს პრემიერს სიტყვა შვიდჯერ შეაწყვეტინეს აპლოდისმენტებით. სხვა თემაა ჩვენი პოლიტიკური შესაძლებლობები და ბრძოლა ევროატლანტიკურ გაერთიანებაში გაწევრიანებისთვის, სადაც უამრავ პრობლემას ვეჯახებით. ისინი განპირობებულია იმით, რომ საქართველო ცდილობს თავისი სუვერენიტეტის დაცვას. ანუ, რაიმე გაერთიანებაში შესვლა ჩვენი სუვერენიტეტის სერიოზული შეკვეცის, შესუსტების და ეროვნული ინტერესების ხარჯზე არ უნდა მოხდეს. ამიტომ მიმდინარეობს ეს ბრძოლა. ხომ ხედავთ, რა დღეშია მეხუთე კოლონა — ნებისმიერ სახელმწიფოებრივ პოზიციას „პუტინისტურს“ უწოდებენ და ასე აბრუებენ საზოგადოებას. არადა, საზოგადოება აშკარად ცდილობს, გლობალურ ბრძოლაში საქართველოს ინტერესები დაიცვას და საკუთარი ადგილი დაიმკვიდროს.

მეხუთე კოლონა და „პუტინისტური“ მოწოდებები

მოდი, რეალობას შევხედოთ და კარგად გავაანალიზოთ, თუ რასთან გვაქვს საქმე: ჩვენ რუსეთის აგრესიის მოლოდინში ვართ. მას საქართველოს ტერიტორიების 20% ისედაც ოკუპირებული აქვს. ცალკეა კიდევ ერთი მოლოდინი, რომ დასავლეთი რევოლუციას მოგვიწყობს. ეს უკანასკნელი რევოლუციას უკვე ასჯერ მოგვიწყობდა, მაგრამ რამდენიმე ფაქტორის გამო, ამას ვერ ახერხებს: ეს ყველაფერი ტექნოლოგიურად არის გაწერილი. ხალხს ჰგონია, ავჯერებენ, თითქოს ის რამეს აკეთებს. სინამდვილეში, ყველაფერი წინასწარ არის დაგეგმილი — ხდება ხალხის, მედიასაშუალებების გამოყენება და შემდგომ ხელისუფლების შეცვლა. დიახ, დასავლეთი რევოლუციას უკვე მოახდენდა, მარტივი მიზეზით, რადგან საქართველო მათ დავალებებს არ ასრულებს; ჩვენი ქვეყანა აღარ იმყოფება იმ რეჟიმში, როცა ყურში ხელს წაავლებდნენ და იმას აკეთებინებდნენ, რაც აშშ-სა და ევროკავშირს სურდათ. ანუ, ურჩი პარტნიორი აღმოვჩნდით. ამიტომ მათ ჩვენთან ხელისუფლების შესაცვლელად უამრავი მოტივაცია გააჩნიათ. რა თქმა უნდა, ამაზე ღიად არ საუბრობენ, მაგრამ მცდელობას არ აკლებენ. იგივე, შევხედოთ, როგორ კვებავენ მეხუთე კოლონას, რომელსაც ჩვენ რადიკალურ ოპოზიციას ვეძახით. კარგად დავაკვირდეთ ზოგიერთი ელჩის, კონგრესმენის, ევროპარლამენტარის გამოსვლებს, რომლებიც ამბობენ, რომ მხარს ქართველ ხალხს და მის მისწრაფებებს უჭერენ. სინამდვილეში, ქართველი ხალხის მისწრაფებებს თვითონ ქმნიან. ანუ, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ენჯეოებს უხვად აფინანსებენ, ესენიც მათი შეკვეთით შესაბამის აქტივობებს აწარმოებენ. ანუ, შემკვეთი მოგვიანებით მის მიერვე შეკვეთილ საკითხზე ახდენს რეაგირებას და ამას ქართველი ხალხის პოზიციად ასაღებს! ჩვენმა მოქალაქეებმა ეს კარგად უნდა გააცნობიერონ. აი, რა არის ამ ტექნოლოგიის მოკლე შინაარსი. თუ დავაკვირდებით, ბოლო პერიოდში რევოლუციის მოწყობის რამდენიმე მცდელობა იყო. ავიღოთ თუნდაც ამერიკული კანონი, რომელსაც რუსული დაარქვეს. მსგავსი რამ ადრე არასდროს მომხდარა — დაწვეს მანქანები, ცეცხლი წაუკიდეს პოლიციელებს, მოლოტოვის კოქტეილებიც პირველად გამოჩნდა.

7-8 მარტის მოვლენების აგორებაში, დასავლეთიდან დიდი ფული დაიხარჯა. აქციის ორგანიზატორებმა დასავლეთის შეკვეთა შეასრულეს, ცრუ ინფორმაციები გაავრცელეს, ხელისუფლებამ კი ვერ მოასწრო, საზოგადოებისთვის რეალობა აეხსნა. საბოლოოდ, პოლიციამ სკრუპულოზურად იმუშავა. ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და ისე ვერ გავუძლებთ ამ მოვლენებს, როგორც ამას საფრანგეთი ახერხებს. ხელისუფლებამ კანონი გაიწვია და საქმე რევოლუციამდე აღარ მივიდა. თუმცა, ამ ყველაფერს ერთი მეტად მნიშვნელოვანი ახსნა აქვს: **ერთადერთი მიზეზი, რატომაც დღეს საქართველოში რევოლუცია არ მოხდა, რუსეთის მოსალოდნელი აგრესია და საქართველოს სუვერენიტეტის დაკარგვის საფრთხეა!**

რა ვითარება გვაქვს დღეს — რუსეთი ომის პირობებში იმყოფება, ჩვენთან 40 კმ-ში მისი ტანკები დგას, საქართველო არ შეუერთდა პირდაპირ სანქციებს, ასე თუ ისე, ჩვენი ქვეყანა ინარჩუნებს მშვიდობას და ლოიალური, მიუმხრობელია. ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და დიდი რისკები გაგვაჩნია. დიახ, ამ სიტუაციაში დასავლეთი რევოლუციას მოახდენდა, მაგრამ რუსეთის აგრესიის საფრთხიდან გამომდინარე, სიტუაციის გაკონტროლებას ვეღარ შეძლებდა. **ანუ, ნახეთ რა მოხდებოდა? — რუსეთი თავად დაგეგმავდა პროვოკაციას, რაღაცას დაგვაბრალებდა და დაგვარტყამდა. რა ფორმით მოხდებოდა ეს — დაგვბომბავდა თუ ჯარს შემოიყვანდა, სულ ერთია, ჩვენს სუვერენიტეტს, ფაქტობრივად, გათელავდა. დასავლეთი კი ამ ვითარებაში ვერაფერს იზამდა.** საქართველო, რომელიც ცენტრალური აზიისა და კავკასიის გამავალ გზებზე ყველაზე მნიშვნელოვანი ქვეყანაა, თან ახლა, როცა ახალ პროექტებს ეყრება საფუძველი და მისი წონა ევროპაში, ჩინეთში იზრდება, რევოლუციის მოწყობით, ჩვენზე კონტროლის დაკარგვის თვალსაზრისით, დასვლეთს დიდი საფრთხე ექმნებოდა. ამიტომ მისთვის რევოლუციების ბოლომდე მიყვანა, სახელისუფლებო გადატრიალების მოწყობა, სარისკოა. დღეს ჩვენ შექმნილი ვითარება გვიცავს, რაც სახელმწიფო ინტერესების გაძლიერებისთვის უნდა გამოვიყენოთ.

ვეღირსებით კანდიდატის სტატუსს?

კანდიდატის სტატუსი ჯერ კიდევ შარშან გვეკუთვნოდა. მიუხედავად იმისა, რომ მოლდოვა ნეიტრალური ქვეყანაა და დსთ-ის წევრია, მას კანდიდატის სტატუსი მისცეს. ასე რომ, ყველაფერი პოლიტიკურ განწყობილებებზეა დამოკიდებული. საქართველო ევროპაში როგორც მასზე დაქვემდებარებული, დამონებული კი არა, არამედ წელგამართული უნდა შევიდეს, როგორც პარტნიორი ქვეყანა. აი, რა უნდა იყოს ჩვენი ამოცანა.

„ნაცმოძრაობა“ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებით დაინტერესებული არ არის. მით უმეტეს, არ აწყობს, რომ კანდიდატის სტატუსი ქვეყანამ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში მიიღოს. სინამდვილეში, მათ ევროკავშირში გაწევრიანება კი არა, ევროკავშირში შესვლის ავტორობა უნდათ და ეს რომ არ გამოუვიდათ, ამ პროცესს ყველანაირად ხელს უშლიან. მეტიც, „ნაცმოძრაობა“ ეცდება, პოლიტიკურ სპექტრში არსებული პოლარიზაცია, დაპირისპირება კვლავ შენარჩუნდეს.

მსოფლიოში ვითარება ძალიან შეცვლილია, გაზრდილია დასავლეთისა და ჩინეთის გავლენებიც. უკრაინის ტერიტორიაზე ნატო-სა და რუსეთის ომი უკრაინელი მოქალაქეების სისხლის ხარჯზე მიმდინარეობს. ენერგომატარებლების, იგივე, ვაჭრობის კუთხით, კრიზისმა, ლოჯისტიკური ქსელების არევამ, გადალაგებამ, საქართველოს როლი გაზარდა. ევროპისთვის საქართველოს და, ზოგადად, კავკასიის რეგიონის საჭიროება უფრო მნიშვნელოვანი და ღირებული გახდა. თავის დროზე შევარდნაძემ და ალიევმა საფუძველი ჩაუყარეს მილსადენს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და ერზრუმის მიმართულებით. ახლა საუბარია ახალ მიმართულებებზე. ბუქარესტში ხელი მოეწერა „აზერბაიჯანის, საქართველოს, რუმინეთისა და უნგრეთის მთავრობებს შორის მწვანე ენერგიის განვითარებისა და გადაცემის სფეროში სტრატეგიული პარტნიორობის თაობაზე“ ხელშეკრულებას, რაც წლის პროექტად აღიარეს. საქართველო ენერგეტიკული ჰაბი გახდება. ეს ევროპას ძალიან დიდ განტვირთვას აძლევს. მოგეხსენებათ, იქაც რთული მდგომარეობაა, წარმოებები ჩერდება. ახლა მათ ენერგიის ახალი წყარო სჭირდებათ, რაც ომის ფონზე შეზღუდულია. ამიტომ საქართველოს და ამ დერეფნის მნიშვნელობა გაზრდილია. თან ყოველივე ჩინეთსაც სჭირდება. ამიტომ აქ არეულობის მოწყობა და ზედმეტი კითხვის ნიშნების გაჩენა ბევრს არ აწყობს. გეოპოლიტიკური ვითარება ჩვენ გარკვეულ პრეფერენციას გვაძლევს, რასაც შედეგი მოაქვს და საქართველოს მნიშვნელობა იზრდება.

საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების აუცილებლობა გამოწვეული იქნება სწორედ ამ ვითარებით და საჭიროებით, რაც ევროპას საქართველოსა და ამ რეგიონის მიმართ გაუჩნდა.

საქართველო კავკასიის გასაღებია. საქართველოს გარეშე, რაც უნდა ძლიერები იყვნენ ჩვენი მეზობლები, ვერაფერი მოხდება, საქართველო არის ყველაზე მნიშვნელოვანი გასაღები, ყველაზე ევროპული ქვეყანა და დასავლეთის ერთადერთი საყრდენი კავკასიაში. ამიტომ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება სწორედ ამ კონტექსტში მოხდება და არა იმ პოლიტიკური თამაშებიდან გამომდინარე, რასაც ყოველდღიურად ვაკვირდებით.

თამარ შველიძე
555 23 28 24

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა „აფრიკის დიდი ვარსკვლავის“ დაბრუნებას ითხოვს

ბრილიანტი ჩარლზ III-ის სამეფო სკიპტრას ამშვენებს

ისტორიულ მოვლენად შეიძლება შეფასდეს ბრიტანეთში მეფის, ჩარლზ III-ის კორონაცია, რომელიც გასულ კვირას გაიმართა. ისტორიულია, ვამბობთ, რადგან ბრიტანეთში ბოლოს 70 წლის წინათ გაიმართა ელიზაბეთ II-ის კორონაცია. ჩარლზ III ოფიციალურად გახდა ბრიტანეთის მეფე, მისი მეუღლე, კამილა კი — დედოფალი.

სტუმრების რაოდენობა ცერემონიაზე შეზღუდული იყო. ამის მიზეზად ბრიტანული პრესა სხვადასხვა მიზეზს ასახელებს. მეფისთვის მისალოცად რამდენიმე ქვეყნის პირველი პირი ჩავიდა. ბრიტანეთში არ ჩავიდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯო ბაიდენი, ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი მოკავშირე. ერთი თვის წინათ ბაიდენი ოთხი დღით იმყოფებოდა ბრიტანეთში. იგი პრემიერ-მინისტრ რიში სუნაკს და თავად ჩარლზ III-საც შეხვდა. სავარაუდოდ, ამერიკის პრეზიდენტი მოერიდა ხანგრძლივ მგზავრობას, სამაგიეროდ, თავის ნაცვლად მეუღლე, ჯილი ბაიდენი გააგზავნა შვილიშვილთან ერთად. ორივე ქალბატონი უკრაინის დროშის ფერებში იყვნენ შემოსილები და ღონისძიებაზე უკრაინის პრეზიდენტის მეუღლესთან, ელენა ზელენსკის გვერდით ისხდნენ.

ცერემონია ტრადიციების მცირე დარღვევით გაიმართა. ტელევიზიები პირდაპირ ეთერში გადასცემდნენ კორონაციას, ამიტომ მასზე დაწვრილებით აღარ შევჩერდებით. ერთი, რაც აშკარად ჩანდა, მეფის მოწყენილი სახე იყო. ამის მიზეზზე პრესაში არაფერს წერენ. ამერიკიდან კორონაციაზე დასასწრებად ჩავიდა ჩარლზის ვაჟი ჰარი, რომელიც ბიძის, ენდრიუს მსგავსად, ყოველგვარი ტიტულების გარეშე იმყოფებოდა ღონისძიებაზე. ცერემონიაზე დასწრებაზე უარი თქვა ჰარის მეუღლემ, მეგანმა და აშშ-ში დარჩა. ღონისძიებას არ დასწრებიან ბრიტანეთის ელიტის წარმომადგენლებიც. სამაგიეროდ, მიწვეული იყვნენ ქალი მღვდელმსახურები, რაც ბრიტანეთის ათასწლოვან ისტორიაში არ ყოფილა.

კორონაციის ცერემონიას 15 ათასი პოლიციელი იცავდა. საფუძველიც ჰქონდათ, რადგან მონარქიის მოწინააღმდეგეები საპროტესტო აქციას მართავდნენ, რომლის მონაწილეებს პოლიცია აკავებდა. უკმაყოფილო არიან მონარქიის მომხრეებიც, რადგან ქვეყანა ეკონომიკურ კრიზისშია, ამ დროს კი კორონაციაზე კოლოსალური თანხა დაიხარჯა.

მძიმე მემკვიდრეობა ერგო ჩარლზ III-ს, ქვეყანას დიდ ბრიტანეთად აღარ იხსენიებენ. მსოფლიოში მხოლოდ 14 ქვეყანაა დარჩენილი, სადაც ბრიტანეთის მეფის გავლენას აღიარებენ. თუმცა უკვე სამი ქვეყანა, მათ შორის, ავსტრალია, აპირებენ ბრიტანულ ქვეშევრდომობაზე უარის თქმას. უფრო მეტიც, ქვეყნის შიგნით ირლანდია და შოტლანდია ითხოვენ დამოუკიდებლობას.

გარკვეულ დათმობაზე წასვლა მოუხდა სამეფო ოჯახს. ბრიტანეთის ყოფილი კოლონიები მოითხოვენ მათი ქვეყნებიდან გატანილი ძვირფასეულობის დაბრუნებას. განსაკუთრებით აქტიურობს ინდოეთი, საიდანაც ბრიტანელმა კოლონიზატორებმა კოლოსალური ოდენობის ძვირფასეულობა გაიტანეს. კორონაციის ორგანიზატორებმა ორი საუკუნის წინათ ინდოეთიდან გატანილი უზარმაზარი ზომის ალმასი ამოიღეს სამეფო გვირგვინიდან და სამხრეთაფრიკულით ჩაანაცვლეს. სწორედ იმ ალმასის დაბრუნებას ითხოვენ ინდოელები. ამიტომაც შეცვალეს ძვირფასი ქვა, რათა ინდოელები არ გააღიზიანონ. სწორედ ინაუგურაციის წინ წაუყენა პრეტენზიები სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ ბრიტანელებს, რომელიც „აფრიკის დიდი ვარსკვლავის“ სახელითაა ცნობილი და მისი დაბრუნება მოითხოვა. ბრილიანტი სამეფო სკიპტრას ამშვენებს. ისტორიულად ცნობილია, 1905 წელს ნაპოვნ გიგანტურ ალმასს (530,2 კარატი) ნაკლი აღმოაჩნდა. ამიტომ ალმასისგან ორი უზარმაზარი, შვიდი დიდი და 96 წვრილი ბრილიანტი გააკეთეს. ორი უზარმაზარი ბრილიანტიდან ერთი სკიპტრას ამშვენებს, მეორე — სამეფო გვირგვინს.

კორონაციას სიურპრიზის გარეშე არ ჩაუვლია — ქალაქ ბატში, სადაც უნდა გამართულიყო ცერემონიის ძირითადი ნაწილი, მთიბავებმა ბალახის სათიბით ფალოსის მსგავსი დიდი ზომის ფიგურა გამოსახეს. უცნობია, მოასწრეს თუ არა „შედევრის“ ლიკვიდირება ორგანიზატორებმა, მაგრამ ამაში კარგად ჩანს ხალხის მეფისადმი დამოკიდებულება... კორონაციის შემდეგ, ტრადიციისამებრ, სამდღიანი ზეიმი გაიმართა ბრიტანეთში. მეფე და დედოფალი კი მილოცვებს იღებენ.

შიდაპოლიტიკური ვითარება აშშ-ში მარტივი არ არის. ექსპერტებისა და მოსახლეობის შეშფოთებას ქვეყანაში არსებული ეკონომიკურ-ფინანსური სიტუაცია იწვევს. ბოლო ორ თვეში ამერიკაში უკვე მესამე მსხვილი ბანკი გაკოტრდა. პრეზიდენტი ჯო ბაიდენი ოპტიმისტურად არის განწყობილი, ტელევიზიით მოსახლეობას სიმშვიდისკენ მოუწოდა და აღნიშნა, „სიტუაციას სრულიად ვაკონტროლებთო“. თუმცა მის ოპტიმიზმს არ იზიარებენ დარგის ექსპერტები. მათი შეფასებით, თუ ქმედით ღონისძიებას არ გაატარებს ხელისუფლება, ქვეყანაში არნახული ინფლაციაა მოსალოდნელი. ერთ-ერთი გამოსავალი შიდა ვალის თამასის აწევაა, მაგრამ რესპუბლიკელი კანონმდებლები (ასევე, დემოკრატების ნაწილიც) არ დათანხმდებიან მსგავს ინიციატივას. აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, დღემდე მსოფლიოს ქვეყნები დაგროვების 70%-ს ამერიკულ დოლარებში ახორციელებდნენ, ახლა ეს ციფრი 10%-ით შემცირდა, რაც ქვეყნის ეკონომიკისთვის საგანგაშოა. პოლიტოლოგები აღნიშნავენ, რომ ასეთ სიტუაციაში ბაიდენს გაუჭირდება მეორე ვადით გაპრეზიდენტება, გამარჯვების შემთხვევაში კი ყველაზე ხანდაზმული პერზიდენტი იქნება.

ამერიკაში უკვე აღარ ხუმრობენ ბაიდენის უცნაურ გამონათქვამებზე, შეშფოთებულები არიან, როგორც მოსახლეობა, ასევე, პოლიტიკოსებიც. თავად ბაიდენი კი ჟურნალისტებს უმტკიცებს, საღად ვაზროვნებ, თავს ჯანმრთელად ვგრძნობო.

დამაფიქრებელია აშშ-ის საგარეო პოლიტიკა. ერთი მხრივ, თეთრი სახლის ადმინისტრაცია ცდილობს, ჩინეთთან თანამშრომლობა აღადგინოს, მაგრამ ამავე დროს განაგრძობენ ტაივანში შეიარაღების შეტანას. გასულ კვირას ვაშინგტონში ოფიციალურად განაცხადეს, რომ ტაივანს დამატებით 500 მილიონი დოლარის ღირებულების იარაღს გადასცემენ. ინფორმაციამ ტაივანის მოსახლეობის უმრავლესობის პროტესტი გამოიწვია, ამერიკის საწინააღმდეგო აქციებიც გამართეს. მათი განცხადებით, არ სურთ ჩინეთთან შეიარაღებული დაპირისპირება და მშვიდობის მომხრეები არიან. ცეცხლზე ნავთი დაასხა პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ყოფილმა მრჩეველმა თავდაცვისა და უშიშროების საკითხებში ჯონ ბოლტონმა, რომელმაც ტაივანში ყოფნისას აღიარა კუნძულის დამოუკიდებლობა. საერთოდაც, ბოლტონი საომარი რიტორიკით გამოირჩევა. გავრცელებული ინფორმაციით, სწორედ მან ჩაშალა 2018 წელს ვიეტნამში დონალდ ტრამპის და ჩრდილოეთ კორეის მმართველის კიმ ჩინ ინის მოლაპარაკება, რისთვისაც დაატოვებინეს თანამდებობა. ჩინელები მიიჩნევენ, რომ აშშ-ს სურს, ტაივანი მათთან ომის პლაცდარმად გამოიყენონ, ამიტომ კვლავ გაგზავნეს ავიამზიდი კუნძულის პატრულირებისთვის. ამასობაში აშშ-ის თავდაცვის მინისტრი ლოიდ ოსტინი ცდილობს, დაუკავშირდეს ჩინელ კოლეგას ლი შანფუს. აშშ-იდან გავრცელებული ინფორმაციით, მინისტრების შეხვედრა, სავარაუდოდ, სინგაპურში გაიმართება.

გასულ კვირას რუსეთის დედაქალაქში ორი უპილოტო საფრენი აპარატი ჩამოაგდეს. ქვეყნის ძალოვანმა სტრუქტურებმა უკრაინელებს დასდეს ბრალი — კრემლზე ტერორისტული შეტევა ჰქონდათ განზრახულიო. თავდაპირველად უკრაინელებმა ეს უარყვეს, მაგრამ ამერიკულმა პრესამ რუსეთის ვერსია დაადასტურა. მოგვიანებით უკრაინაშიც განაცხადეს, რუსეთთან ბრძოლაში ყოველნაირ საშუალებას გამოვიყენებთო. შეტევისას უკრაინის პრეზიდენტი ვლადიმერ ზელენსკი ევროპის ქვეყნებს — ფინეთსა და ნიდერლანდებს სტუმრობდა. რითი უპასუხებს რუსეთი უკრაინას ტერაქტის მცდელობისთვის, უცნობია.

კვლავ აქტუალურია უკრაინისთვის შეიარაღების მოწოდება. გასულ კვირას ევროკომისარმა ჟოზეპ ბორელმა ტელეინტერვიუში განაცხადა: „...თუ ევროკავშირი შეუწყვეტს უკრაინას დახმარებას, რამდენიმე დღეში დაეცემა ქვეყანა, რუსეთი პოლონეთის საზღვართან მივა. ამიტომ სხვა გზა აღარ გვაქვს, ჩვენ უნდა მოვიკლოთ და უკრაინას დავეხმაროთ. უკრაინა-რუსეთის დიალოგის დრო ჯერ არ დამგდარა!“ საინტერესო განცხადებაა ევროკავშირის პირველი დიპლომატის მხრიდან. თავადაც აღნიშნავს, დიპლომატმა თავდაცვის მინისტრობა შევითავსეო.

საპირველმაისოდ ევროპის ქვეყნებში საპროტესტო აქციები გაიმართა. განსაკუთრებულას ეს დღე საფრანგეთში აღინიშნა, სადაც პროფკავშირების მონაცემებით, აქციებში ქვეყნის მასშტაბით 2 მილიონზე მეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. პარიზში პროტესტანტებსა და პოლიციას შორის ხელჩართული შეტაკებები გაიმართა. გავრცელებული ინფორმაციით, დაიღუპა ერთი მოქალაქე და ერთი პოლიციელი. პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი არაფრად მიიჩნევს ქვეყანაში არეულობებს. პოლიცია-მოსახლეობის დაპირისპირების დროს ელისეის სასახლეში შროშანის ფესტივალი გაიმართა. ასეთია საფრანგეთის ხელისუფლების დღევანდელი პოზიცია — ჯერ ყვავილები, მერე კი ადამიანი და მისი პრობლემები...

გია ბურდული
551 71 27 07

ადმინისტრაციული ჯარიმების გადახდის ხანდაზმულობა მცირდება

აღსრულების ეროვნული ბიუროს, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული პირის შექმნის ავტორი თავის დროზე ნაციონალური ხელისუფლება იყო. ახალმა სერვისმა საზოგადოების მოწონება დაიმსახურა. ერთი ფანჯრის პრინციპში არაფერი იყო საძრახისი, მაგრამ მისი შექმნის რეალური მიზანი ჩვენი მოქალაქეებისთვის მხოლოდ მაშინ გახდა ნათელი, როდესაც ისინი აღსრულების დახმარებით ერთადერთი საცხოვრისის დაკარგვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ.

სამართლიანობა მოითხოვს, ვთქვათ, რომ იმ გაურკვევლობაში არაერთი ბანკი იყო ჩართული. სხვისი ქონების ხელში ჩაგდების მიზნით, მსხვილი თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაციები დაუბრკოლებლად ქმნიდნენ ე. წ. არბიტრაჟებს, კონტროლის გარეშე გამოჰქონდათ მათთვის სასარგებლო გადაწყვეტილებები და აღსრულების „ეროვნული“ ბიუროს დახმარებით, სხვის ხარჯზე მდიდრდებოდნენ.

ნაციონალური ხელისუფლების მსახვრალი ხელი მხოლოდ უკანონო პატიმრობებს არ შეხებია, ის დაუნდობელი იყო ყველა ღირებულების მიმართ. არ შემიძლია, არ გავიხსენო ერთ-ერთი ყოფილი მსჯავრდებული ბიზნესმენის მონათხრობი, რომელიც წარსულში ბანკთან მისი ურთიერთობის ფაქტების შესახებ გვიამბობს.

ჩვენი რესპონდენტი კახეთის რეგიონში პირველი ბიზნესმენი იყო, რომელმაც მაკარონის ქარხანა ააწყო და გამართა. ამ მიზნით ევროპიდან საქართველოში მანქანა-დანადგარები ბანკისაგან აღებული სესხით შემოიტანა. ნაციონალური ხელისუფლება საინფორმაციო საშუალებებით ლამის ყოველდღე აშუქებდნენ ამ ფაქტს და მის მოთავეს მადლობას უხდიდნენ. ბიზნესმენმა იფიქრა, რომ ეს მადლიერება ხელისუფლებას დიდხანს გაჰყვებოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ყველაფერი ფასადური იყო. იგი მალევე უკანონო ბრალდებით დაიჭირეს. მან დანაშაული არ აღიარა. უკანონო პატიმრობასთან ერთად, პრობლემები შეიქმნა ქარხნის გახსნის გამო აღებულ კრედიტთან დაკავშირებითაც. საპატიო მიზეზის გამო, ზემოხსენებულმა პიროვნებამ ვალი ვერ დაფარა და როგორც მოგვიანებით შეიტყო, მსესხებელ ბანკს, მის მიერვე შექმნილი საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე საკუთარ თავზე გადაუფორმებია ქარხნის კუთვნილი დანადგარები, როგორც სესხის გარანტი ისე, რომ მესაკუთრეს არანაირი შეტყობინება არ მიუღია. იფიქრა, რომ ციხიდან გათავისუფლების შემდეგ, როგორც ძველი მფლობელი, ბანკისგან ხელმეორედ შეიძენდა თავის მანქანა-მოწყობილობებს, მაგრამ უარი უთხრეს... კერძო, კვაზი საარბიტრაჟო სასამართლოები ყოველგვარი განხილვის გარეშე წყვეტდნენ სხვისი ქონების ბედს და ასე უაპელაციოდ, მავნებლური კანონის დახმარებით, სახელდახელოდ აკანონებდნენ უკანონობას.

ოცნების ხელისუფლების პირობებში ბანკების პოლიტიკა უკეთესობისკენ შეიცვალა. საფინანსო ორგანიზაციები ყოველ ღონეს ხმარობენ, მოქალაქეები თავშესაფრის გარეშე არ დატოვონ და ხელშეკრულებების უფრო ლოიალურ პირობებს სთავაზობენ.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, საქართველოს პარლამენტმა აღსრულების შესახებ კანონის ახალი პროექტის განხილვა დაიწყო.

რას ითვალისწინებს აღსრულების ახალი კანონი

ფაქტია, რომ აღსრულების ეროვნული ბიუროს, განსაკუთრებით გახმაურებული გამოსახლებების ფაქტების მიმართ, საზოგადოების პრეტენზიები არ მცირდება.

სიახლეა, რომ ახალი საკანონმდებლო პროექტის მიხედვით, რომელიც პარლამენტს 2021 წლის 22 თებერვალს წარედგინა, ქართულ სინამდვილეში კიდევ ერთი ახალი ორგანო - **სსიპ აღმასრულებელთა პალატა იქმნება**. ევროპული პრაქტიკის გათვალისწინებით, აღსრულების ორგანო ე.წ. შერეული მოდელიდან კერძო აღსრულების სისტემაზე გადადის, რითაც, ფაქტობრივად, უქმდება კერძო აღმასრულებელთა ინსტიტუტი.

დღემდე მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, კერძო აღმასრულებელს იგივე უფლებები გააჩნია, როგორიც სახელმწიფო სააღსრულებლო ბიუროს წარმომადგენლებს, მაგრამ პრაქტიკაში ისეთი შემთხვევებიც გვხვდება, როცა კერძო აღმასრულებელთა საქმიანობა ვერ კონტროლდება, ისინი ხშირად არ ეყრდნობიან კანონს და თვითნებურად

მოიპოვენენ მტკიცებულებებს ერთადერთი მიზნით - თავიანთი დამკვეთისგან მეტი სარგებელი მიიღონ. სტატისტიკის მიხედვით, საქართველოს პროკურატურის მიერ უფლებამისილებების გადამეტების ფაქტზე არაერთი ყოფილი კერძო აღმარულებელია დასჯილი და თუ ახალი კანონით მათი საქმიანობა დარეგულირდება, სააღსრულებლო საქმიანობა გამარტივდება და კანონდარღვევებიც აღარ იქნება.

აღსრულების კანონპროექტის მიხედვით, იცვლება პირის დაჯარიმების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების ხანდაზმულობის ვადა (კერძოდ, ადმინისტრაციული ჯარიმის აღსრულების ხანდაზმულობა მცირდება 5-იდან 2 წლამდე, სისხლის სამართლებრივი ჯარიმის აღსრულების ხანდაზმულობა განისაზღვრება 5 წლით), ხოლო აღსრულების ხანდაზმულობის ვადად კვლავ 10 წელი რჩება.

აქვე ერთი საინტერესო შემთხვევა გვინდა გავიხსენოთ, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულმა კოლეგიამ აღსრულების წინააღმდეგ განიხილა, რომელიც ამ პრობლემის შინაარსს კარგად წარმოაჩენს.

ნინო გაბელაიამ (გვარი შეცვლილია) აღსრულების ეროვნულ ბიუროს მიმართა და ხანდაზმულობის გამო მის მიმართ დაწყებული სააღსრულებლო საქმის წარმოების შეწყვეტა მოითხოვა. თავის წერილში იგი ამტკიცებდა, რომ მის წინააღმდეგ აღსრულება ათ წელზე მეტი ხნის წინათ დაიწყო და ამის გამო მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა, რადგან მოვალეთა არეესტრში მოხვდა და მუშაობას ვერ იწყებდა სამსახურს. ამასთან, განმარტავდა, რომ ნაციონალური ხელისუფლების დროს უკანონოდ იყო დაპატიმრებული, უკანონოდ დაეკისრა თანხები და მიიჩნევდა, რომ აღსრულებაც უკანონოდ მიმდინარეობდა. სამართლებრივ საფუძვლად განმცხადებელმა მიუთითა ის გარემოება, რომ კანონის მიხედვით, შეუძლებელი იყო აღსრულება, რადგან კონკრეტულად პირის სახელზე არ ირიცხებოდა არავითარი შემოსავალი. წესით, აღსრულებას მის მიმართ საქმე უნდა შეეწყვიტა. როგორც მოსალოდნელი იყო, აღსრულების ეროვნულმა ბიურომ არ დააკმაყოფილა საჩივარი და დავამ სასამართლოში გადაინაცვლა. სასამართლომ ორი წლის განმავლობაში იკვლია ეს საკითხი და ბოლოს მაინც არ დააკმაყოფილა მოსარჩელის ინტერესი. მართალია, ჯერ დასაბუთებული გადაწყვეტილება მომჩივანს არ ჩაბარებია, მაგრამ იგი დარწმუნებულია რომ მოსამართლე ობიექტურ განაჩენს არ გამოიტანდა. ნიშანდობლივია, რომ ამავე პროცესებზე მოწინააღმდეგე მხარის, აღსრულების ბიუროს წარმოამდგენლების მიერ გახმოვანდა ფაქტი აღსრულების ახალი კანონპროექტის შესახებ.

ჩვენი საზოგადოებისათვის ყველაზე მტკივნეული მაინც გამოსახლებებია. სამწუხაროდ, ეს პრობლემა ისე ვერ დარეგულირდა, რომ არ დაირღვეს ადამიანის უფლებები.

ახალი კოდექსის ამოქმედების შემთხვევაში, ნორმატიულ დონეზე, როგორც განმარტავენ, პირველად დარეგულირდება ისეთი მნიშვნელოვანი სააღსრულებო სამართლებრივი საკითხები და ურთიერთობები, როგორიცაა **უძრავ ქონებაში შეღწევა, აღმასრულებლის მიერ ყადაღადადებული ნივთის აღწერის ან გამოტანის მიზნით მოვალის სათავსსა და საცხოვრებელ სადგომში შესვლის წესი, ყადაღის დადება სეიფში მოთავსებულ ქონებაზე, ფასიან ქაღალდებზე, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე, საჰაერო, საზღვაო ხომალდებზე და სხვ.**

ამავე კანონის 223-2-ე მუხლის თანახმად, აღმასრულებელი ვალდებულია, უძრავ ქონებაში შეღწევისას ყველა ღონე გამოიყენოს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად.

ლევან ჭიღლაძე
555 75 04 45

რომელ დღესასწაულზე ხარ დაბადებული

1 მაისი – მელოტების დღე (ლიხტენშტეინი).
2 მაისი – მშობლების საერთაშორისო დღე.
3 მაისი – მზის საერთაშორისო დღე.
4 მაისი – დასვენების დღე (იაპონია).
5 მაისი – ევროპის დღე.
6 მაისი – გამარჯვების დღე.
7 მაისი – რადიოს დღე.
8 მაისი – წითელი ჯვრის საერთაშორისო დღე.
9 მაისი – გამარჯვების დღე (დენ პაბედი).
10 მაისი – რუსეთი დუმის პირველი სხდომა (1906).
11 მაისი – თევზაობის ბოლო დღე (ესპანეთი).
12 მაისი – მედდები დღე.
13 მაისი – ნავების ფესტივალი. თბილისის „დინამომ“ უეფას თასი მოიგო.
14 მაისი – აშშ-ში დაპატენტდა „სგუშონი“ (1853).
15 მაისი – ოჯახის საერთაშორისო დღე.
16 მაისი – სპიდით დაღუპულების მოსახსენებელი დღე.
17 მაისი – ტელეკომნიკაციების დღე.
18 მაისი – ცირკის საერთაშორისო დღე.
19 მაისი – პიონერების დღე.
20 მაისი – მეტროლოგების დღე.
21 მაისი – უმუშევრების დაცვის დღე.
22 მაისი – ღიპის დღე.
23 მაისი – ბუდას დაბადების დღე.
24 მაისი – სლავური დამწერლობის დღე.
25 მაისი – ფილოლოგების დღე.
26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღე. დედის დღე (პოლონეთი).
27 მაისი – ბიბლიოთეკარების საერთაშორისო დღე.
28 მაისი – მესაზღვრეების დღე.
29 მაისი – გაზაფხულის დღე (დიდი ბრიტანეთი).
30 მაისი – გუბერნატორების დღე (ესპანეთი).
31 მაისი – ოპიუმის დღე.
1 ივნისი – ბავშვთა დაცვის დღე.
2 ივნისი – გრაფ კალიოსტროს დაბადების დღე (1743).
3 ივნისი – დამარილებული თევზის დღე (ნიდერლანდები).
4 ივნისი – მღებავების დღე.
5 ივნისი – ღრუბლების დღე (იაპონია).
6 ივნისი – პუშკინის დღე (რუსეთი).
7 ივნისი – ბრუკს სტივენსის დაბადების დღე, «Harley-Davidson» გამომგონებელი (1911).
8 ივნისი – ოკეანის საერთაშორისო დღე.
9 ივნისი – ომში დაღუპულების დღე (ისრაელი).
10 ივნისი – პარიზში პირველად გაიხსნა ზოოპარკი (1793).
11 ივნისი – ამერიკაში პატრულირება დაიწყეს პოლიციის მანქანებმა.
12 ივნისი – პირველი ციხის აშენების დღე.
13 ივნისი – იდიოტების დღე (ნორვეგია).
14 ივნისი – ამერიკის ნაციონალური დროსი დღე.
15 ივნისი – გულაობის საერთაშორისო დღე.
16 ივნისი – ყვავების დღე (ინდოეთი).
17 ივნისი – ბორკილების დაბადების დღე.
18 ივნისი – სასწრაფო სამსახურების დღე.
19 ივნისი – ბოტლის დაბადების დღე.
20 ივნისი – ფეხის გულების დღე (ზიმბაბვე).
21 ივნისი – ყვავილების საერთაშორისო დღე.
22 ივნისი – ზაფხულის მზის მდგომარეობის დღე.
23 ივნისი – საერთაშორისო ოლიმპიური დღე.
24 ივნისი – გამომგონებლების დრე.
25 ივნისი – მაღაროელების დღე.
26 ივნისი – ნარკოტიკებთან ბრძოლის საერთაშორისო დღე.
27 ივნისი – თევზაობის დღე.
28 ივნისი – ტრუსების დაბადების დღე.
29 ივნისი – პრემიების დღე (ხორვატია).
30 ივნისი – სასკოლო ფორმის დაბადების დღე.

ხეთები - ალაპარაკებული ქვები

გიგანტები და „ღრუ“ ბორჯომ-ხარაგაულის მთებში

(გაგრძელება. დასაწყისი „სგ“ N11,13)

ბორჯომის ხეობის მთებში, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის გავლით, მაღლა, ალპურ ზონაში, 2006 წელს არქეოლოგები სენსაციური აღმოჩენის წინაშე დადგნენ, აღმოაჩინეს 2,5-3 მეტრი სიმაღლის ადამიანი-გიგანტების ძვლები, რომელთა ასაკი 25 000 წელია და იქვე ნატაძრალიც იყო.

ოთარ ბაღათურია, პროფესორი, ჯგუფის ხელმძღვანელი: — „დასადგენია, გიგანტური ძვლები ვისია, გიგანტოპითეკის (ადამიანის მსგავსი მაიმუნი, ოღონდ, უფრო მაიმუნისკენ რომ იხრება), მეგანთროპის (ადამიანსა და მაიმუნს შორის მყოფი) თუ ჰომოგიგანტიკუსის (გიგანტური ადამიანი). თუ დამტკიცდა, რომ ის ადამიანის ერთ-ერთი წინაპარია, შემდეგ უნდა დადგინდეს, ქართველია თუ არა. საერთოდაც, მაინტრესებს, ბაღათურია ხომ არ არის, რადგანაც „ბაღათური“ ბევრ ენაში (ქართული, ინდური, ოსური, ირანული, მონღონული, სლავური ენები) „გოლიათს“ ნიშნავს — „ბაღათარი“, „ბაადური“, „ბაჰადური“, „ბაგატირ“... იმის შანსი, რომ თუნდაც პაწაწუნა ნაწილი აღმოჩნდეს, რათა დნმ ანალიზი გაკეთდეს, მიზერულია, თუმცა, ვნახოთ...“

(სხვათაშორის, შურდული ბაგრატიონების გერბში ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენს, რადგან ამ გვარის ერთ-ერთ წინაპარს, დავითს, შურდულით მოუკლავს გოლიათი. შურდული, ეს არის ქვის სასროლი იარაღი, რომელიც გავრცელებული იყო მსოფლიოს ბევრ ხალხში. შურდული იყო საბრძოლო, სანადირო, სამწყემსო და სათამაშო. საშურდულე ქვებისთვის ქართველ მეომარს საგანგებო აბგა-ჯიბეები ანუ ტავარჯუხი ჰქონდა. შურდულით გასროლილი ქვა დიდ მანძილზე მიექანებოდა და გასროლის სიძლიერითაც გამოირჩეოდა. შურდული იყო ტყავის ღვედი ან თასმა, რომელსაც შუაში ჰქონდა ჩაღრმავება. მსროლელი მასში დებდა მრგვალ, გლუვ ქვას, რომელიც დაახლოებით 250 გრამს იწონიდა, დიამეტრიც 5-7,5 სმ იყო, თავსზემოთ რამდენჯერმე დაატრიალებდა და სწრაფად უშვებდა ხელს. გამოცდილი მეშურდულეს მიერ გატყორცნილი ქვა შესაძლოა, საათში 160-240 კმ სიჩქარით გატყორცნილიყო და მიზანში მოხვედრილიყო. მეცნიერები ამ მონაცემზე ვერ თანხმდებიან, მაგრამ ფაქტია, რომ შურდულიდან გატყორცნილი ქვა მომაკვდინებელი იყო (მსაჯულები 20:16)

შუა საუკუნეების საქართველოს ლაშქარში მეშურდულეთა საგანგებო ნაწილების არსებობას მრავალი ისტორიული წყარო აღნიშნავს. მაგალითად, თამარ მეფის ისტორიკოსის ცნობაში მითითებულია „წარმოდგეს ბანთა და შუაკართა ზედა ისრის მსროლელნი და ქვის მტყორცნელნი“.)

1992 წლის აგვისტოში პრესით გავრცელდა პროფესიით კომპოზიტორისა და დირიჟორის, ეზოთერიკ გივი ალაზნისპირელის მიმართვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმისა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაციის პრეზიდენტისადმი, რათა მიეცათ სიტყვით გამოსვლის უფლება სიმპოზიუმზე, რომელიც თბილისში, ნოემბერში უნდა ჩატარებული. მისცეს თუ არა ბატონ გივის სიმპოზიუმზე გამოსვლის უფლება, ჩემთვის უცნობია, თუმცა რა თეზისები უნდა ეთქვა, ვფიქრობ, არც ახლაა უინტერესო, პირიქით...

გივი ალაზნისპირელი:

„1) დედამიწის 42 გრ პარალელისა („ივერთა გადაადგილების გზა“ სწორედ 42-ე პარალელზე გადის – მ.ჯ) და 43 გრ. მერიდიანის გადაკვეთის კვადრატში, საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, კერძოდ, ხარაგაულის მიმდებარე მთებში აღმოჩენილია ეპიცენტრი, სადაც სამყაროს ცენტრიდან დედამიწის მიმართ კოსმიურ-აზრობრივი ღერძი პროექცირდება. ბუნების ეს მოვლენა საქართველოში ოდითგანვე „სვეტიცხოვლის“ სახელით ყოფილა დამკვიდრებული, ხოლო შუმერთა ცნობიერებაში იგი „დურ-ან-ქი-ის“ ეპითეტითაა შემორჩენილი, რაც თანამედროვე ქართული ენით ცის და მიწის კავშირს ნიშნავს. ბიბლიასა და სახარებაში ბუნების ეს ფენომენი მოიხსენიება როგორც „სიცოცხლის ხე“!

2) ასეთი ღერძის მიწაზე დაშვების შორიახლოს ნაპოვნია ქვის მასალისგან ხელით ნაგები „ვეშაპი,“ რომლის ზომები მკაცრად შეეფერება ბიბლიისეული აღწერილობის ნოეს „ხის“ კიდობანს. აღნიშნული „ვეშაპი“ ფაქტობრივად წარმოადგენს საქართველოს ქვეშ არსებულ უდიდესი მიწისქვეშა ტაბუირებული სივრცის კარიბჭეს, საიდანაც ძალიან ღრმად ორი გრძელი გვირაბი ეხვევა მიწაში აღნიშნულ სიცარიელეში ჩასასვლელად.

„სვეტი-ცხოველის“ ფენომენი, მიწაში ჩაშვების მომენტში უერთდება მიწიურ „გ“ ველს („გველს“), რომლის გამოც ეს ორივე მიწისქვეშა გვირაბი „გველის“ სახელითაა როგორც შუმერთა, ასევე ბიბლიისა და ახალი აღთქმის ფურცლებზე მოხსენიებული. სიტყვაში „გველი“ ეზოთერულობა დევს და თანაც უდიდესი.

გთავაზობთ აღმოჩენილი მიწისქვეშეთის წარმოსახვით ესკიზს. მისი გადათვალიერებისას არ შეიძლება ვერ შენიშნოს თქვენმა თვალმა, დაბლა, საქართველოს ქვეშ, ერთ მთაზე აგებული ქალაქი (სულ ქვემოთ). ეს ის ქალაქია, რომლის შესახებაც დასასრულს მოგვითხრობს „აპოკალიფსი“. რა თქმა უნდა, მხედველობაში მაქვს „ზეციური იერუსალიმი“. ბატონებო! თავს ნებას ვაძლევ გაუწყოთ — იგი აღმოჩენილია! ეს ქალაქი მიწისქვეშეთში იმყოფება და თანაც საქართველოს ქვეშ!

აქვე უნდა ითქვას, რომ „ზეციური იერუსალიმი“, ეს ერთ-ერთი სახელწოდებაა „ბაბილონისა“, ხოლო ამ ქალაქს მანამდე „ური“ უნდა რქმეოდა, რომლის შესახებაც დიდი ინფორმაციაა შუმერთა ეპოსში შემორჩენილი...

რთულია ერთ პატარა წერილში იმის გადმოცემა, თუ როგორ მოხდა ამ ათასწლეულებით გამოკეტილი და მივიწყებული მიწისქვეშა ქვესკნელის აღმოჩენა და იქ ჩაუსვლელად გამოკვლევა, მაგრამ ერთი კი ფაქტია — ჩვენი იბერია იმ სულიერ საგანძურზე ზის, რომელიც კავკასიონზე „მიჯაჭვულ ამირანს“ გულისხმობს. ეს საიდუმლო გახსნილია!

სიმპოზიუმზე გამოსვლისთვის მოვითხოვ 7-10 წუთს. ამ დროში შევეცდები ფაქტების, სლაიდებისა და ლოგიკის საფუძველზე მცირედად მაინც ვაუწყო თბილისში ჩამოსულ სტუმრებს რომ ნაპოვნია ის, რასაც კაცობრიობა უკანასკნელი 4 000 წლის მანძილზე ეძებდა, დედამიწის რიგით პირველი სკოლა მისტერიისა — შამბალა!“

ამ მიმართვის შემდეგ ჰიტლერის მაგების „ღრუ დედამიწის თეორია“ გაახსენდება ადამიანს, ქართული ხალხური ზღაპრების „ქვესკნელი“ და ა.შ...

რაგინდ ვიძახოთ კანარისის დივიზიის ფარგლებში შემავალი სამხედრო ტყვეებით შექმნილი „თამარ-1“, „თამარ-2“, „მთიელი“ და „ბულბული“, ფაქტი ფაქტად დარჩა, საქართველო 1917 წელს გერმანიამ იხსნა თურქეთისგან, ოფიციალურად — პოლიტიკური ტაქტიკა იყო; მერე კი, 1941-1945 წლებში, დიდი სამამულო ომის დროს, თითქმის მთელი ევროპის გადამბუგველი ჰიტლერის გერმანია, ლამის აღთქმას დებდა საქართველოს ხელუხლებლობის შესახებ.

საბჭოთა „ენკავედესგან“ თითქოს განსხვავებული, მაგრამ ამოუცნობის ფანატიკური ინტერესი ჰქონდა ჰიტლერსაც, რომელიც ამგვარ საკითხების შესწავლას დაუფარავად აწარმოებდა მისი საყვარელი ორგანიზაცია „ანენერბე-ს“ მეშვეობით. არსებობს ეჭვი, რომ სამამულო ომის დროს კავკასიონის ქედზე ტაქტიკურად ყოვლად გაუმართლებელი სვლა, სპეციალურად გაწვრთნილი დესანტის გადმოსხმა (სვანებმა ამოხოცეს) პირადად ჰიტლერის მიერ საქართველოში მისტიკურის ძიებას უკავშირდებოდა...

2015 წლის შემოდგომაზე, იალბუზის მახლობლად, მკვლევარებმა ზვავის ქვეშ მოყოლილ „ვერმახტის“ რაზმს მიაგნეს, თუმცა მისი მისიის შესახებ ინფორმაცია არ მოიძებნა არც გერმანულ და არც საბჭოურ არქივებში. დაღუპულების პირად ნივთებში „ანენერბეს საზოგადოების“ სიმბოლოკიანი ბეჭედი და ჩემოდანი იპოვეს. ნალჩიკელმა სპელეოლოგმა არტურ ჟემუხოვმა სამარხის მახლობლად 78 მეტრის სიღრმის გამოქავაბული აღმოაჩინა. მისი ვარაუდით, გამოქვაბულის შახტა მიწისქვეშა ქალაქში მიდის, რომლის გვირაბები იალბუზამდე და სამხრეთ კავკასიამდე გრძელდება და მიწისქვეშა ქალაქი პირამიდების ქვეშ არის გაშენებული.

მართლა ასე ფიქრობდა თუ არა ფაშისტური გერმანიის თავკაცობა, ვინ იცის, მაგრამ ცნობილი გავრცელებული აზრია, რომ ფაშისტებს, ანუ ჰიტლერს კავკასიის დაპყრობა უნდოდა, მაგრამ საქართველო არ უნდა დაებომბათ. გასაგებია, რომ „ბაქოს ნავთის სუნი“ ბერლინს იქით აღწევდა, მაგრამ საქართველო?

ჰიტლერის მისტიკით გატაცება ცნობილია, — იგი ბუნების იდუმალ ძალებთან კავშირს ესწრაფოდა და არ იშურებდა არაფერს, ოღონდ მიეღწია ამ კავშირისთვის, მარადიული ახალგაზრდობის ელექსირისთვის და ა. შ მას გარს ეხვია მაგთა დასტა, რომლებიც მისტიკურ სფეროებზე მუშაობდნენ.

ბაქოს ნავთობისკენ გეზმიმართული ჰიტლერი გენერალური კომისრის რეზიდენციად, ისევე როგორც კავკასიის რაიჰსკომისრისა, (ოტო ოლენდორფი) თბილისს ასახელებდა, ბაქო მხოლოდ ნავთობის ვებერთელა რეზერვუარად მოიაზრებოდა, თბილისი, ანუ საქართველო? — ისევ პასუხგაუცემელი დარჩა საქართველოსადმი ინტერესი.

თვით ნიურბერგის პროცესზეც კი წამოტივტივდა ცალკე საკითხად კავკასია, — გერინგის დამცველმა დოქტორმა შტაიმერმა სულ ისტორიული საარქივო მასალები აფრიალა ინგლისელი და ფრანგი მოსამართლეების ცხვირწინ, ჩვენზე ადრე თქვენ გქონდათ კავკასიის დაპყრობის გეგმაო, — ნამდვილად არ ცრუობდა შტაიმერი...

ისტორიული დოკუმენტია როზენბერგის მიწერილი წერილიც ჰიტლერისადმი, ბრიტანელებისთვის კავკასიის ზონას ბევრად მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მთელ უკრაინასო.

ისტორიული ფაქტებია, რომ ჰიტლერი ისეთი აღტკინებით ყვებოდა რაღაც იდუმალ ქალაქზე, რომელიც მიწისქვეშეთშია ქვეყნის უზენაესი მბრძანებლის გამგებლობის ქვეშ, რომ დუჟმომდგარს გონება ეკარგებოდა. იგი კონკრეტულად ვერ ან არ ასახელებდა იდუმალი ქალაქის ადგილს, მაგრამ სავარაუდოდ კავკასიას გულისხმობდა, ჰიმალაის მთებს თუ ტიბეტის მთიანეთს, მაგრამ ყველა შემთხვევაში მიწისქვეშეთს მთებში.

მას იმდენად დადასტურებულად კარნახობდნენ მაგები „რაღაცას“, რომ „ღრუ დედამიწის“ თეორიაც კი შეიქმნა და ჰიტლერის თანამედროვე ასტროლოგები სიკვდილის მუქარით აიძულებდნენ პროფესორებს ამ ახალი „თეორიის“ გაზიარებას. ჰიტლერს იმდენად სჯეროდა მისტიკური ამბების, რომ „ფაუ-2-ის“ წარმოებაც კი შეაჩერა დროებით, რათა „მარადიული ყინულის სამეფოს“ განრისხება არ გამოეწვია.

მაკა ჯაყელი

(გაგრძელება იქნება)

საჩხერე-ონის დამაკავშირებელი 52-კმ-იანი გზა ზემო რაჭისთვის დიდი საჩუქარია



„საერთო გაზეთი“ თავის ფურცლებს ხშირად უთმობს ჩვენს თანამემამულეებს, ღირსეულ, ღვაწლმოსილ ადამიანებს, რომლებიც სხვებისთვის მისაბაძ მაგალითად შეიძლება იქცნენ. ამჯერად გთავაზობთ საინტერესო ბიოგრაფიის ადამიანის, ბატონი ოთარ კერვალიშვილის ამბავს, რომელიც რედაქციაში გვეწვია და თავისი ისტორია გვიამბო

„საერთო გაზეთის“ რედაქციის კოლექტივს ვულოცავ აღდგომას და გიორგობის დღესასწაულებს. მე, როგორც გაზეთის ერთგული მკითხველი, ძალიან ვაფასებ იმ პოზიციას, რომელიც აწ განსვენებულმა რედაქტორმა, ბრწყინვალე პოეტმა და პუბლისციტმა ბატონმა ვახტანგ ხარჩილავამ ჩაუყარა საფუძველი და წარმატებით განაგრძობენ მისი ოჯახის წევრები, თამარ ბერძენიშვილი და მისი შვილები, გვანცა და დავით ხარჩილავები.

ძალიან ბევრ ადამიანს გული დაგვწყვიტა ბატონი ვახტანგის გარდაცვალებამ. იგი ისეთი ადამიანი იყო, რომელიც მართლა დააკლდა ქალაქს. ჩემი, როგორც ამ გაზეთის ერთგული მკითხველის, სურვილია, გაზეთმა შეინარჩუნოს მებრძოლი სული. წარმოაჩინოს ისეთი პიროვნებები, რომლებიც აუცილებლად უნდა შემოვიდნენ აქტიურად ქართულ პოლიტიკაში თუ იურისპრუდენციაში.

მთავარი რედაქტორის გარდაცვალების გამო ბევრი კარგი გაზეთი დაიხურა, ვახტანგ ხარჩილავას ოჯახის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ აუნაზღაურებელი დანაკლისის მიუხედავად, მათ შეძლეს მობილიზება და გადაარჩინეს გაზეთი, რითიც უკვდავყვეს ბატონი ვახტანგის სახელი.

ახლა კი ცოტა რამ ჩემს შესახებ. დავიბადე რაჭაში, გავიზარდე თბილისში. აქვე დავამთავრე საშუალო სკოლა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი საავტომობილო გზების სპეციალობით. ჩემი სურვილით წავედი და ერთი წელი ვიმსახურე საბჭოთა კავშირის სარკინიგზო ჯარებში. დემობილიზაციის შემდეგ, 1975 წლის ივნისიდან ვმუშაობ საქართველოს საავტომობილო გზების სისტემაში, სადაც გავიარე გზა რიგითი ინჟინრიდან ექსპერტიზის სამმართველოს უფროსამდე. 1990 -2005 წლებში ვიყავი საჯარო სამსახურში გზების ექსპერტი, სამართველოს უფროსი, 2005 წელს ჩამოვაყალიბე შპს „ექსპერტიზა, მშენებლობა, დიზაინი“, რომლის დირექტორი ვარ დღემდე. ჩემი ფირმა ეწევა საავტომობილო გზებისა და ინფრასტრუქტურის ობიექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზას და საქართველოს რეგიონებში სხვადასხვა ინფრასტრუქტული ობიექტების მშენებლობის ტექნიკურ ზედამხედველობას.

2006-2008 წლებში გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოვაქვეყნე ორი სკანდალური სტატია საავტომობილო გზების შესახებ. იმჟამინდელმა ხელისუფლებამ ვერ დამიჭირა, მაგრამ ჩემი სამსახური თითქმის გააუქმა (სხვა უწყებას შეუერთა). მიშას ხელისუფლების მსახვრალი ხელი მეც შემეხო. როგორც ექსპერტმა, უარი ვთქვი გორის გვირაბის მშენებლობის პროექტზე და ვამტკიცებდი, რომ მისი მშენებლობა არ იყო მიზანშეწონილი. შემოვლითი გზა სრულად აკმაყოფილებდა ტექნიკურ მხარეს. როგორც აღვნიშნე, გამათავისუფლეს ექსპერტის თანამდებობიდან, მაგრამ პროფესიული საქმიანობა დამოუკიდებლად გავაგრძელე. ჩემი ავტორობით შეიქმნა ბახმაროს, საგარეჯო-უდაბნოს გზის პროექტები. ამჟამად ვმუშაობ სხვადასხვა ინფრასქტრუქტურულ პროექტზე.

2005 წლიდან ვარ საქართველოს სოციალურ და ეროვნულ ურთიერთობათა აკადემიის ნამდვილი წევრი; საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი; 2011 წლიდან დამოუკიდებელი საგზაო ექსპერტი, ხოლო 2001 წლიდან საზოგადოებრივ პოლიტიკური ჟურნალ „ამერ-იმერის“ რედკოლეგიის წევრი.

ჩემი „მწირი“ შესაძლებლობების ფარგლებში ვეწევი ქველმოქმედებას. დაფინანსებული მაქვს ხუთი ქართველი პოეტის წიგნი. 2011 წელს დავაფინანსე წიგნი- ბროშურა, რომელიც ეხებოდა საქართველოში „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ჩამოტყუებული ბიზნესმენის, ბესარიონ ხვინთქელიანის უკანონო პატიმრობას (ადამიანი ჩამოიყვანეს, პრემიერობას დაჰპირდნენ, მერე რამდენიმე ათეული მილიონი წაართვეს და 8 წელი პატიმრობა მიუსაჯეს). ბროშურაში მოყვანილი ფაქტებით, ბესარიონ ხვინთქელიანი პოლიტპატიმრად წარმოჩინდებოდა. ჩემს მიერ დაფინანსებული წიგნი-ბროშურა ღამის ოთხ საათზე ჩაიტანეს ქუთაისში, პარლამენტში. დილით სხდომის დაწყებამდე დაურიგეს პარლამენტარებს (300 ეგზემპლარი დაიბეჭდა) და იმავე დღეს, დღის მეორე ნახევარში, პარლამენტმა სხვა პოლიტპატიმრებთან ერთად, ბესარიონ ხვინთქელიანი უკანონო დაკავებულად აღიარა და გაათავისუფლა სასჯელისგან.

მე ამ პიროვნებას საერთოდ არ ვიცნობდი და არც ახლა ვიცნობ. თუმცა მისი გათავისუფლების დღეს, სხვა გულშემატკივრებთან ერთად, დავხვდი სასჯელაღსრულების კოლონიის წინ. ბესარიონს ჩემი თავი სოსო ჯაჭვლიანმა გააცნო. მას შემდეგ ათი წელი გავიდა და ამ პიროვნებას ერთხელაც არ მოვუკითხივარ. რას ვიზამთ. ესაა ადამიანური უმადურობის ნიშანი. მადლობა მაინც ეთქვა იმ დალოცვილს...

ვარ არასამთავრობო ორგანიზაცია „რაჭის გადარჩენის და განვითარების“ თანათავმჯდომარე და „სრულიად საქართველოს რაჭის რეგიონის განვითარების ფონდის“ თავმჯდომარე.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ბატონ ბიძინა ივანიშვილს პირადად არ ვიცნობ. თუმცა გავიხსენებ ერთ ფაქტს. 2005 წლამდე აწ განსვენებული ბონდო გაგნიძე გამოსცემდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონის გაზეთებს. გამოდიოდა გაზეთი „რაეო“ რაჭველებისთვის, „საპოვნელა“ იმერეთისთვის, „მაჭახელა“ აჭარლებისთვის, და ა.შ. რედაქტორის დავალებით ხდებოდა ამ გაზეთების მკითხველთა გამოკითხვა, თუ ვინ იყო მათი კუთხის კეთილდღეობაზე მზრუნველი ბიზნესმენი, მწერალი, პოლიტიკოსი ან სხვა მოღვაწე. წლის ბოლოს რედაქცია აჯამებდა გამოკითხვის შედეგებს. რეგიონებში გამარჯვებულ პიროვნებებს რედაქცია უკავშირდებოდა, მათ შესახებ კეთდებოდა 10-წუთიანი ფილმი, ხოლო დაჯილდოვების ცერემონია ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ტარდებოდა.

2002 წლის გამოკითხვით რაჭის რეგიონში გაიმარჯვა ნიკო ლეკიშვილმა, ზემო იმერეთში - ბიძინა ივანიშვილმა, სვანეთში - კახა კვიციანმა... 2003 წლის 18 იანვარს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა გამარჯვებული ნომინანტების დაჯილდოვება. ბიძინა ივანიშვილს რედაქციიდან არავინ იცნობდა, აუცილებელი იყო მისთვის ჯილდოს გადაცემა. ვინაიდან იგი ადგილზე არ იმყოფებოდა.

მისი წარმომადგენლის სახელით სცენაზე მე ავედი, მივიღე ბატონი ბიძინას კუთვნილი პრიზი, იმერეთზე (კერძოდ, საჩხერეზე) გადაღებული 10-წუთიანი ფირი, გაზეთის სპეცნომერი, ერთი ყვავილი... მადლობა გადავუხადე ორგანიზატორებს და დარბაზს ბატონი ბიძინას სახელით. პარტერში ჩასულს მომესმა ხმამაღლა ნათქვამი: ახლა ეს კაცი ვინმემ რომ გაიტაცოს, ბიძინა ნეტავ, რამდენს გადაიხდის გამოსასყიდსო. ამაზე ჩემმა უშუალო უფროსმა, ბორის სარალიძემ უპასუხა, მაგას საავტომობილო გზების დეპარტამენტი გამოისყიდისო.

მოკლედ, ჩემი ნაცნობობა ბატონ ბიძინასთან ამით ამოიწურა. მოგვიანებით რედაქციაში მოვიწვიეთ ბატონი ბიძინას ძმა, ალექსანდრე ივანიშვილი და მას გადავეცით პრიზი და ფირი. ვისარგებლეთ შემთხვევით და მასვე გადავეცით ზვიად გამსახურდიას დროს გამოშვებული ზემო იმერეთი-რაჭის დამაკავშირებელი ახალი გზის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება. მაშინ არავინ გამოგვხმაურებია, გაზეთი „რაეო“ დაიხურა და გზის საკითხიც დაკონსერვდა. მხოლოდ 2012 წლის შემოდგომაზე რაჭაში, ონის მუნიციპალიტეტში ამომრჩევლებთან შეხვედრის დროს გააჟღერა ბატონმა ბიძინამ: რაჭა ძალიან მიყვარს, დედაჩემი, ციცინო დვალი, რაჭველია და მინდა, ამ გზის აშენება. თუ საქართველოს ბიუჯეტი ვერ გასწვდება, მე ჩემი თანხებით მაინც ავაშენებო...

საქართველოს მთავრობამ ეს დაპირება შეასრულა და ორი წლის წინათ ექსპლუატაციაში შევიდა საჩხერე - ონის დამაკავშირებელი 52-კილომეტრიანი ახალი საავტომობილო გზა, რომელიც 135 მილიონი ლარი დაჯდა. ეს უდიდესი საჩუქარია, განსაკუთრებით, ზემო რაჭის მოსახლეობისათვის. ისინი დღეს კეთილმოწყობილი გზით უკავშირდებიან, როგორც რაიონულ ცენტრს, ასევე საჩხერეს.

არცერთი პარტიის წევრი არ ვარ, თუმცა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი და ოფიციალური შემომწირველი ყოველთვის ვიყავი. 2011 წელს ვაპირებდი პარტიაში გაწევრიანებას. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მიმართულებას მამუკა არეშიძე ხელმძღვანელობდა. მივედი მასთან, ვისაუბრეთ და მომდევნო კვირას დამიბარა დოკუმენტებით. როცა მივედი, მის ადგილზე სხვა ადამიანი დამხვდა, რომელმაც თავის საკურატორო სივრცეში აკია ბარბაქაძის მსგავსი და ათასპარტიაგამოცვლილი ხალხი გააერთიანა.

ზუსტად ნაცებიდან „ქართულ ოცნებაში“ პორტირებულმა პიროვნებებმა ჩემი ფირმა ხელოვნურად ჩახსნეს რაჭის რეგიონის ტენდერებიდან და დისკვალიფიკაცია მისცეს.

მანამდე ოთხი წლის განმავლობაში რაჭაში დასაქმებული მყავდა 25 ადამიანი. ეს ციფრი სხვა რეგიონებისთვის შეიძლება არაფერს ნიშნავდეს, მაგრამ თითქმის მთლიანად დაცლილი რეგიონისთვის თითოეული დასაქმებული, რომელსაც თვეში მინიმუმ 1000 ლარი შექონდა ოჯახში, დიდი შეღავათი იყო. მოკლედ, რაც იყო იყო, საერთოდ, მთის რეგიონებს მეტი ყურადღება სჭირდება. მოსახლეობის უმრავლესობა „ტვპირველს“ და „მთავარ არხს“ უყურებს და ამ არხების დეზინფორმაციით არის მოწამლული. ბოლოს და ბოლოს, ეს რეგიონი ირაკლი კობახიძის მშობლიური კუთხეა და იქ „ნაციონალური მოძრაობა“ არ უნდა ბოგინობდეს“.

სამწუხაროა, რომ დღემდე „ქართული ოცნების“ რიგებში პასუხსაგებ თანამდებობებზე რჩებიან ადამიანები, რომლებიც ყველანაირად ხელს უშლიან ნამდვილ ქართველებს ქართული საქმის კეთებაში. იმედს ვიტოვებ, რომ ეს მალე დასრულდება და თითოეული ჩვენგანის მიერ გაწეული ღვაწლი ჩვენი ქვეყნისთვის სიკეთის მომტანი იქნება“.

უძველესი კოშკების საიდუმლო

კხამის რეგიონში, რომელიც ტიბეტის აღმოსავლეთ ნაწილში სიჩუანისა და ტიბეტის ავტონომიურ რაიონს შორის მდებარეობს, თვალწარმტაც მთიან ლანდშაფტზე უჩვეულომაღალი ნაგებობებია აშენებული, რომელთაგან ყველაზე ძველი 1000 წელზე მეტი ხნისაა. ამ დიდებულმა ქვის ნაგებობებმა უამრავ მიწისძვრას, მეწყერსა და ზვავს გაუძლო.

ვინ იყო ამ ქვის მეგალითების არქიტექტორი, რისთვის ააგეს ისინი და რაშია მათი მთავარი საიდუმლო?

ჰიმალაის კოშკების მთავარი არქიტექტორები

მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ კოშკები ძველმა ტიბეტელებმა და ციანებმა ააგეს, უძველესმა ხალხმა, რომლებიც სიჩუანის ჩრდილოდასავლეთით სახლობდნენ.

ნაგებობებს განსხვავებული ფორმები აქვთ, ზოგი მათგანი კვადრატულია, ზოგს ექვსი და რვა კუთხე აქვს. უჩვეულო ფორმის გამო მათ „ვარსკვლავურს“ უწოდებენ.

ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ეს უჩვეულო, მაღალი შენობები მნიშვნელოვან სტრატეგიულ წერტილებში იგებოდა როგორც თავდაცვითი და საგუშაგო ნაგებობები. მათ, ასევე საწყობის ფუნქციაც ჰქონდა. შესაძლოა, ალყის დროს პროდუქტების ან ძვირფასი საქონლის შესანახად, რომლებიც ქარავნებს ძველი ჩაის გზით გადაჰქონდათ.

გვიამბობენ წერილობითი წყაროები

დასავლეთში ჰიმალაის კოშკებზე პირველად იზაბელ ბერდის წიგნის „ტიბეტელებს შორის“ გამოცემის (1894 წ.) შემდეგ ალაპარაკდნენ. ბერდი იყო პირველი ქალი, რომელიც ლონდონის სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების წევრი გახდა.

მოგვიანებით მათ შესახებ წერდა ფრედერიკა დარაგონიც, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება ამ ქვის ნაგებობების შესწავლას მიუძღვნა.

კოშკები ქალაქებში, სოფლებსა და დაუსახლებელ რაიონებშია განლაგებული. მეცნიერებმა დაახლოებით 1000 კოშკი დაითვალეს. მათგან სამასამდე იდეალურ მდგომარეობაშია, დანარჩენს კი სხვადასხვა ხარისხის დაზიანებები აქვს.

შორის ყველაზე მაღალი 60 მეტრის სიმღლისაა, ყველაზე გავრცელებული ფორმა ვარსკვლავს ჰგავს, რომელიც ზემოთ ვიწროვდება. ქვები უხეშია და ერთმანეთს თიხის ან მიწის ბათქაშით ებმის. ცემენტის გამოყენებული არ არის. შიდა სართულები ერთმანეთს ხის კიბეებით და ხის კოჭებით უკავშირდება. ეს ტიბეტის მთიანეთის კოშკების ძირითადი მოდელია.

საინტერესოა, რომ ის კოშკები, რომლებსაც კვადრატული ფორმა აქვს, დღეისათვის დანგრეულია.

მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ისინი მათი მფლობელი ოჯახების პრესტიჟის დემონსტრირებისთვის აიგო.

რას ამბობენ მეცნიერები

ფრედერიკა დრაგონი კვლევებში იმდენად წინ წავიდა, რომ შეძლო კოშკების აგების დროსა და მიზნების განსაზღვრა. მუშაობას მხოლოდ ის ართულებდა, რომ ამის შესახებ ჩანაწერები არ არსებობდა.

რადიონახშირბადულმა დათარიღებამ ნათელჰყო, რომ ის კოშკები, რომლებმაც ბუნებრივ კატაკლიზმებსა და დროს გაუძლო, აგებულია მეორე და მე-16 საუკუნეებს შორის, ხოლო ტერიტორია, რომელსაც ისინი იკავებენ, საფრანგეთის ერთი მესამედის ტოლია.

დარაგონმა ნაგებობები ოთხ პირობით ჯგუფად დაყო. თითოეული მათგანი განლაგებულია განსაზღვრულ გეოგრაფიულ „ჯიბეში“, რომელიც უძველესი ტომების კუთვნილ ტრადიციულ მიწებს მიეკუთვნება.

ფორმა, კოშკების განლაგების ადგილი და არქიტექტურული მახასიათებლები უნიკალურია ამ რეგიონისთვის.

ბრწყინვალე უძველესი კოშკები, რა თქმა უნდა, არქიტექტურის შედევრი და იუნესკოში მათი უპირობო შეტანისთვის ბრწყინვალე ნიმუშია.

მიუხედავად ყველა მონაცემისა, ზოგიერთი ჩინელი მეცნიერი ამტკიცებს, რომ სინამდვილეში, ეს თავდაცვითი კოშკები მე-17-მე-18 საუკუნეს მიეკუთვნება.

პირველად ჩინურ წყაროებში ეს კოშკები მინის დინასტიის დროს მოიხსენიება (1368-1644 წწ.).

ტიბეტელი მწერლის, ჯამუიანტ ნორბუს მოსაზრებით, მე-18 ს-ში კოშკებმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს ტიბეტის სამეფოების, ბენის, რაბდენისა და ცანლას თავდაცვით ბრძოლებში ცინის იმპერიის წინააღმდეგ, თუმცა, მათი ქვემეხების წინააღმდეგ ვერაფერი გააწყვეს. მოგვიანებით კოშკები დაშალეს, რათა საზოგადოებრივი დანიშნულების სხვა შენობები აეგოთ.

ბევრმა კოშკმა 2008 წელს სიჩუანში მომხდარ მიწისძვრას გაუძლო.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

წერეთლის გამზირის რეაბილიტაციის დროს, თორმეტი საუკუნოვანი აკლდამაა აღმოჩენილი

აკაკი წერეთლის გამზირის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროცესში, დიდუბის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე, მე-19-მე-20 საუკუნის პერიოდის რამდენიმე აკლდამაა აღმოჩენილი.

აღმოჩენის შესახებ თბილისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურმა დაუყოვნებლივ აცნობა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს. ამჟამად, აკლდამებს სპეციალისტები იკვლევენ.

არქეოლოგ მერაბ ძნელაძის განმარტებით, დიდუბის ღვთისმშობლის შობის ტაძრის ეზოს მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩენილი სამარხების რაოდენობა 12-მდეა.

„უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მათგანი მეტ-ნაკლებად დაზიანებულია ძველი საკომუნიკაციო ქსელების გაყვანილობის გამო. ამჟამად, მიმდინარეობს მათი დეტალური შესწავლა და დამატებით ინფორმაციას ახლო მომავალში გაგაცნობთ“, - განაცხადა მერაბ ძნელაძემ.

წერეთლის გამზირზე აღმოჩენილი აკლდამების კვლევა უახლოეს მომავალში დასრულდება.

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა 599 03 43 06
ნომრის რედაქტორი: თამარ ბერძენიშვილი 555 33-44-14
სარედაქციო კოლეგია: თამარ ბერძენიშვილი (გამომცემელი); თამარ შველიძე, გია ბურდული, ზურაბ ოშხერელი, ნინო დაუშვილი, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, ლევან ჭიღლაძე (სამართალი); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertogazeti.ge

მის:. თბილისი, ა. წერეთლის გამზ.103;
ტელ.: 593 44-04-01; 234-45-35 (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასაგალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99